



**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**

**ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
(MBA)**

**ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**

ა(ა)იპ ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი

თბილისი
2025

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404987332
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კრისტინა ტონისონი, ტარტუს უნივერსიტეტი, ესტონეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ალავიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ნოღაიდელი, თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამაზ უზუნაშვილი, ქართული–ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება	სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტი	ბიზნესის ადმინისტრირება (MBA)	ჯანდაცვის მენეჯმენტი	აღმასრულებელ ი ბიზნესის ადმინისტრირებ ის სამაგისტრო საგანმანათლებლ ო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი	ბაკალავრი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	დოქტორანტურა
მისანიჭებული კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირები ს ბაკალავრი	ბიზნესის ადმინისტრირე ბის ბაკალავრი მენეჯმენტში	ბიზნესის ადმინისტრირე ბის მაგისტრი	ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი	აღმასრულებელ ი ბიზნესის ადმინისტრირებ ის მაგისტრი (EMBA) მენეჯმენტში	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413- მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413- მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413- მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413- მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413- მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413- მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება¹	-	-	-	-	-	-
სწავლების ენა	ინგლისური	ინგლისური	ინგლისური	ინგლისური	ინგლისური	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი	240 ECTS კრედიტი	120 ECTS კრედიტი	120 ECTS კრედიტი	75 ECTS კრედიტი	60 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/პი რობითად აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 16-08-16 # 97	ახალი	ავტორიზებული 02-10-19 #22	აკრედიტებული 16-08-16 #98	ახალი	ახალი

¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

□ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი გვთავაზობს ინგლისურენოვანი პროგრამების კლასტერს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, აღმასრულებელი და დოქტორანტურის დონეზე, ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამოქალაქო ინჟინერის მენეჯმენტი, ჯანდაცვის მენეჯმენტი, ინოვაციების მენეჯმენტი და ბიზნესის ადმინისტრირება. ზოგიერთი ამ პროგრამათაგანი ან ამ პროგრამების წინამორბედები ადრეც იყო აკრედიტებული, რომლებიც განახლდა ახალი სამიზნე ნიშნულებისა და დარგის საჭიროებების შესაბამისად. თითოეული პროგრამის სტრუქტურა შექმნილია დარგის სპეციფიური ცოდნის მხარდასაჭერად. ბოლო აკრედიტაციის შემდეგ, აკრედიტებული პროგრამები გადაიხედა, რათა ისინი შეიცავდეს განახლებულ სილაბუსებს მეტი დარგთან შესაბამისი შინაარსითა და პრაქტიკულ კომპონენტებით. ყველა კლასტერული პროგრამის სწავლების ენა არის ინგლისური. კლასტერი შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს და მოიცავს საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელ რესურსებს.

□ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 23 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით. ამ სამი დღის განმავლობაში ექსპერტები შეხვდნენ და გასაუბრებები გამართეს შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან: (1) ადმინისტრაცია, (2) თვითშეფასების ჯგუფი, (3) პროგრამის ხელმძღვანელი(ები), (4, 5) აკადემიური პერსონალი, (6, 7) მოწვეული პერსონალი, (8) დისერტაციების ხელმძღვანელები, (9) დამსაქმებელთა წარმომადგენლები, (10) სტუდენტები, (11) კურსდამთავრებულები და (12) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრები.

დაათვალიერეს სხვადასხვა ობიექტი, მათ შორის ბიბლიოთეკა და განიხილეს სტუდენტთა ნაშრომების რამდენიმე მაგალითი. ადგილზე ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენელმა გამოავლინა თანამშრომლობის ძლიერი სურვილი. უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა თვითშეფასების ანგარიში ლაკონური იყო, საჭირო გახდა დამატებითი ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა წარმოადგინა რამდენიმე მოთხოვნილი დოკუმენტი, კიდევ რამდენიმე დოკუმენტის წარმოდგენა გახდა საჭირო.

□ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან:

1.1. პროგრამის მიზნები

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ყველა

პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

შინაარსი

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5. აკადემიური კურსი/საგანი

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

1.6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გარდა EMBA-ისა, რომელიც მეტწილად შესაბამისა მოთხოვნებს.

1.7. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.8. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.9. სტუდენტთა შეფასება

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

2.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

3.1. ადამიანური რესურსები

ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3.4. მატერიალური რესურსი

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტის და პროგრამის ფინანსური მდგრადობა ყველა პროგრამა სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

4. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები

4.1. შიდა ხარისხის შეფასება

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.2. გარე ხარისხის შეფასება

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

□ რეკომენდაციები

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

**აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების
მენეჯმენტი**

- რეკომენდებულია შეიცვალოს პროგრამაზე „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში“ მიღების წესი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს #72/ნ (2024 წლის 28 თებერვალი) ბრძანების შესაბამისად, რომელიც მიუთითებს 5-წლიან პროფესიულ გამოცდილებაზე მენეჯმენტის/ადმინისტრირების სფეროში.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კვლევის მეთოდების სწავლების თანმიმდევრული, სტრუქტურირებული მიდგომის დაწერგვა ყველა პროგრამაში, რაც უზრუნველყოფს, სტუდენტებში კვლევის როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კომპეტენციების გამოუმუშავებას.
- რეკომენდებულია აკადემიურ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების მკაფიო, მთელი სკოლის მასშტაბით მოქმედი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, რათა სტუდენტებსა და ფაკულტეტს ჰქონდეთ თანმიმდევრული გაგება მისი ეთიკური და ეფექტური გამოყენების შესახებ.

1.“ ბიზნესის ადმინისტრირების“საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია სასწავლო გეგმაში რაოდენობრივი კვლევის კომპონენტების ფორმალური განვითარების მიზანისთვის კონტექსტში.

3. „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (MBA)

რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია მონაცემთა ანალიტიკის სავალდებულო მოდულის დაწერგვა, რომელიც ფოკუსირებული იქნება რაოდენობრივ ბიზნეს უნარებზე, რაც აღმოფხვრის ხარვეზს სტუდენტების კვლევით მომზადებაში და მოამზადებს მათ სტრატეგიული ბიზნეს ანალიზისთვის.

6. „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სავალდებულო, სტრუქტურირებული სწავლების დაწერგვა როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდებში, რათა დოქტორანტები სათანადოდ მოემზადონ მაღალი ხარისხის კვლევებისთვის.
- რეკომენდებულია, სადოქტორო ნაშრომის ყველა ხელმძღვანელი აღჭურვილი იყოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში კვლევისთვის საჭირო ცოდნითა და გამოცდილებით (სოციალური

მეცნიერებების კვლევის მეთოდები), რაც საერთაშიროსო სტანდარტების შესაბამისი დონის ხელმძღვანელობის გარანტია.

□ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან:

1.1. პროგრამის მიზნები

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა უკეთ მოერგოს შრომის ბაზრის საჭიროებებს, ჩატარდეს დამატებითი კვლევა, რომელიც კონკრეტულად შეისწავლის დამსაქმებელთა მოთხოვნებს სასურველ უნარებსა და კომპეტენციებზე.

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- სასურველია დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობის გაზრდა სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში.

პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამა)

- სასურველია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, რათა მეტად იყოს შესატყვისობაში სამოქალაქო ინჟინერიის კონცენტრაციასთან. კონკრეტულად, სწავლის შედეგები ნათლად უნდა ასახავდეს როგორც ტექნიკურ, ასევე მენეჯერულ კომპეტენციებს, რომლებიც სტუდენტებს სამოქალაქო ინჟინერიის კონცენტრაციის ფარგლებში გამოუმუშავდებათ.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

სასურველია, რომ ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, პროგრამა ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

1.5. აკადემიური კურსი/საგანი

- სასურველია სილაბუსები უფრო დეტალურ ინფორმაციას შეიცავდეს სხვადასხვა ტიპის გამოცდებზე სტუდენტების შეფასების შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაში

- სასურველია რამდენიმე კურსის ლიტერატურის განახლება: კორპორატიული ფინანსები, კორპორატიული ფინანსები და ანალიზი, მაკროეკონომიკა.ახალ პროგრამაზე დაშვების ყველა წინაპირობა უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პროგრამაზე მისაღები წინაპირობების შესახებ.
- პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
- სასურველია ბიზნეს პარტნიორობის შემდგომი გაძლიერება და მეტი პარტნიორული ურთიერთობების განვითარება ბიზნესებთან და ორგანიზაციებთან, როგორც ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის პირდაპირ პარტნიორებთან, ისე ე.წ. გარე სამყაროსთან, რაც სტუდენტებს უზრუნველყოფს რეალური ქეისებით და საკვანძო პროექტებით, რომლებშიც აისახება დარგის რეალური გამოწვევები.

- სასურველია, რომ ყველა პროგრამა მოიცავდეს საველე გასვლებსა და შემთხვევების შესწავლას, და არა მხოლოდ რამდენიმე იშვიათ შემთხვევას მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში.
- სასურველია მეტი დაინტერესებული მხარის ჩართვა კურიკულუმის განვითარების პროცესებში, რაც გამოიხატება მათი პირდაპირი მონაწილეობით შედეგების დადგენაში, კურსის დიზაინსა და უკუკავშირის განხილვაში.
- სასურველია შეიქმნას სწავლების მეთოდების ცენტრალიზებული რესურსი - ე.წ. სასწავლო რესურსების საცავი სწავლების ინოვაციებისა და მეთოდების შესახებ, როგორიცაა შებრუნებული საკლასო ოთახები (flipped classrooms), თამაშის ელემენტების გამოყენება სწავლაში ე.წ. გემიფიკაცია (gamification) და ა.შ. , რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა ფაკულტეტისთვის.
- სასურველია სტანდარტიზებული შეფასების რუბრიკის შაბლონის შემუშავება ყველა კურსისთვის, შეფასების კონკრეტული კრიტერიუმებისა და ქვე-კრიტერიუმების დეტალური აღწერით.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამისთვის:

- სასურველია საკურსო ნაშრომში გაიზარდოს დარგზე დაფუძნებული ქეისების რაოდენობა, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს იმუშაონ უფრო რეალისტურ ბიზნეს სცენარებზე.
- სასურველია დარგობრივ უნარებზე არჩევითი სემინარების შეთავაზება, როგორიცაა ფინანსური მოდელირება, მონაცემთა ვიზუალიზაცია და ბაზრის ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების კონკრეტულ ინტერესებს.

სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამისთვის:

- სასურველია სამშენებლო კომპანიებთან პარტნიორობის განვითარება სტრუქტურირებული სტაჟირების შეთავაზების მიზნით, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ საინჟინრო და მენეჯერული უნარები რეალურ სამშენებლო გარემოში.
- სასურველია რეგულარული საველე გასვლების ორგანიზება სამშენებლო ობიექტებში ან საინჟინრო კომპანიებში, რაც გააღმართებს სტუდენტების მიერ ინდუსტრიული პრაქტიკის გაგებას.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამისთვის (MBA)

- სასურველია კვლევის შეფასების კრიტერიუმების მეტი თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა ყველა სამაგისტრო კურსზე სტანდარტიზებული სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვით.
- სასურველია სპეციალიზებული არჩევითი კურსების შეთავაზება ისეთ მოთხოვნად სფეროებში, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, ბიზნეს ინოვაციები ან საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგია, რაც გაზრდის სტუდენტების კარიერულ არჩევანს.
- სასურველია ადგილობრივ ბიზნესებთან მეტი თანამშრომლობა პროგრამაში საკონსულტაციო პროექტების ინტეგრირებისთვის, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს იმუშაონ რეალურ ბიზნეს ქეისებზე.

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის

- სასურველია ჯანდაცვის სფეროსთვის სპეციფიკური სტრუქტურირებული კვლევის მეთოდების კურსის შემოღება, რომელიც ხაზს გაუსვამს ჯანდაცვის მონაცემთა ანალიზისთვის როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ მეთოდებს.
- სასურველია უნივერსიტეტმა წაახალისოს ფაკულტეტის წევრები გაიარონ ტრენინგები სოციალური მეცნიერებებისთვის სპეციფიკური კვლევის ხელმძღვანელობის შესახებ, რაც გააძლიერებს სტუდენტთა კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას მენეჯმენტში.

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამა

- სასურველია სავალდებულო, რეალურ გარემოში განხორციელებული საკონსულტაციო პროექტის შემოღება, სადაც სტუდენტები უშუალოდ ადგილობრივ ბიზნესებთან იმუშავებენ ინოვაციური გამოწვევების გადასაჭრელად.

- სასურველია მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე ტექნიკებზე აქცენტის გაძლიერება, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სტრატეგიული ხელმძღვანელობის პოზიციებისთვის.
- სასურველია გაფართოვდეს სტუდენტებისთვის ინდუსტრიული სერტიფიცირების შესაძლებლობები, როგორიცაა პროექტების მართვა ან მოქნილი მეთოდოლოგიები, რაც შეავსებს მათ სწავლებას ინოვაციების მართვაში.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოკტორო საგანამანთლებლო პროგრამა

- სასურველია დოქტორანტებს ჰქონდეთ დამატებითი მხარდაჭერა პუბლიკაციების გამოქვეყნების პროცესში, მათ შორის - სემინარები მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებისთვის და რეცენზენტთა უკუკავშირის მართვაში.
- **სწავლებისა და სწავლის მეთოდები**
 - სასურველია დამყარდეს მეტი პარტნიორობა ბიზნესებთან და ორგანიზაციებთან სხვადასხვა სექტორში, რაც ყველა პროგრამაზე უზრუნველყოფს რეალური სიტუაციების შესწავლას, საკონსულტაციო პროექტებსა და სტაჟირებას, და სწავლების მეთოდებს დარგის პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოიყვანს.
 - სასურველია რეალური, სტრუქტურირებული ტრენინგ სესიების დანერგვა თანამედროვე სწავლების ტექნიკებში, როგორიცაა შებრუნებული საკლასო ოთახი, გეიმიფიკაცია და სტუდენტების მიერ წარმართული სწავლება, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას და ეფექტურობას ფაკულტეტის მასშტაბით.
 - სასურველია გაიზარდოს საველე გასვლების, დარგის ვიზიტებისა და გარე აქტივობების რაოდენობა ყველა პროგრამაზე, რაც გააძლიერებს პრაქტიკულ ასპექტებს და უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამის სფეროებთან პირდაპირი კონტაქტით.
 - სასურველია შემუშავდეს უკუკავშირის ისეთი სისტემა, სადაც სტუდენტები შეძლებენ სემესტრის განმავლობაში გააზიარონ მოსაზრებები სწავლების მეთოდების შესახებ, რაც საშუალებას მისცემს ფაკულტეტის საჭიროებისამებრ დროულად შეიტანოს ცვლილებები.
- **ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის:**
 - სასურველია პროგრამის კვლევის მეთოდების კურსის ფარგლებში დაინერგოს რაოდენობრივი ანალიზის სწავლება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების ანალიტიკური და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებას.
 - სასურველია გაიზარდოს რეალური ბიზნეს ქეისების ან რეალური სიმულაციების მრავალფეროვნება და სიხშირე.
 - სასურველია დაემატოს სემინარები ან არჩევითი მოდულები ბიზნეს უნარებში, როგორიცაა ფინანსური მოდელირება, მოლაპარაკება და ბიზნეს კომუნიკაცია.
- **სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის:**
 - სასურველია დაინერგოს სტრუქტურირებული სამრეწველო პრაქტიკა სამშენებლო ფირმებში ან საინჟინრო ორგანიზაციებში, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა.
 - სასურველია მეტი ერთობლივი პროექტის განხორციელება დარგის მენტორებთან, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს მიღიონ უკუკავშირი და მოსაზრებები სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტში აქტიურად მომუშავე პროფესიონალებისგან.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის (MBA):

- სასურველია დაინერგოს რაოდენობრივი კვლევის მოდული, რომელიც ფოკუსირებული იქნება მონაცემთა ანალიტიკაზე, სტატისტიკურ მეთოდებსა და ბიზნეს ინტელექტუალურის უნარებში

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

- სასურველია არჩევითი საგნების ხელმისაწვდომობის გაზრდა ისეთ მოწინავე სფეროებში, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, მეწარმეობა და ინოვაციების მენეჯმენტი, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს თავიანთი უნარები ბაზრის არსებულ მოთხოვნებს მოარგონ.
- სასურველია ადგილობრივ ბიზნესებთან უფრო მჭიდრო პარტნიორობით მოკლევადიანი საკონსულტაციო პროექტების შეთავაზება კურიკულუმის ფარგლებში, რაც სტუდენტებს მისცემს პრაქტიკულ გამოცდილებას რეალურ კლიენტებთან მუშაობაში.

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის:

- სასურველია სპეციალური კურსის შემუშავება ჯანდაცვის სპეციფიკური კვლევის მეთოდებზე, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის მენეჯმენტისთვის აუცილებელ როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ ტექნიკას.
- სასურველია ჯანდაცვის მენეჯმენტის პერსონალის წახალისება ჩაერთონ სპეციალიზებულ ტრენინგებში, რომლებიც ეხება სოციალურ მეცნიერებებში ჯანდაცვის კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას.

აღმასრულებელი ბიზნესის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში:

- სასურველია კურიკულუმში აქცენტი გაკეთდეს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უნარებზე, რაც მოამზადებს სტუდენტებს აღმასრულებელი პოზიციებისთვის, სადაც ანალიტიკა კრიტიკულია ინოვაციური სტრატეგიისთვის.
- სასურველია არჩევითი სასერთიფიკატო კურსების გავლა ისეთ სფეროებში, როგორიცაა პროექტის მენეჯმენტი, მოქნილი მეთოდოლოგიები ან ცვლილებების მენეჯმენტი, რამაც სტუდენტებს შეიძლება მისცეს დამატებითი კვალიფიკაცია მათი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.
- სასურველია ჩატარდეს ინოვაციური დარგების ლიდერების მიერ მაღალი დონის სემინარები, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს წარმოდგენა შეექმნათ მაღალი დონის გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა:

- სასურველია სავალდებულო გახდეს უახლესი კვლევის მეთოდების უფრო სტრუქტურირებული სწავლება, რაც უზრუნველყოფს დოქტორანტების სათანადო მომზადებას სოციალური მეცნიერების დამოუკიდებელი კვლევისთვის.
- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სადოქტორო ნაშრომის ყველა ხელმძღვანელის შესაბამისი ცოდნა სოციალური მეცნიერების/ ბიზნესის კვლევაში და შესთავაზოს მათ სპეციალიზებული ტრენინგი, განსაკუთრებით იმათ, ვინც ბიზნესის სფეროს არ მიეკუთვნება.
- სასურველია უნივერსიტეტმა შესთავაზოს დოქტორანტებს დამატებითი მხარდაჭერა აკადემიური პუბლიკაციის პროცესში, მათ შორის სემინარები ჟურნალში წარდგენისა და რეცენზირების შენიშვნებზე პასუხის გაცემის შესახებ.
- **სტუდენტთა შეფასება**

- სასურველია შეფასების დეტალური რუბრიკების სტანდარტიზება ყველა პროგრამაზე, რათა ყველა სტუდენტმა იცოდეს, როგორ ფასდება მათი ნაშრომი.
- სასურველია გადასვლა კომპეტენციებზე დაფუძნებულ შეფასებაზე, სადაც შეფასების თითოეული კომპონენტი პირდაპირ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგებს ან კომპეტენციებს.
- სასურველია აკადემიური კეთილსინდისიერების მკაფიო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს პლაგიატისა და სხვა სახის გადაცდომების კონკრეტულ შედეგებს. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ფაკულტეტის ყველა წევრის მომზადება ამ სტანდარტებში და მათი თანმიმდევრული გამოყენება.

- სასურველია პირველ და განმეორებით გამოცდებს შორის პერიოდის გაზრდა.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

- სასურველია სასწავლო პროცესის დაწყებამდე საკონსულტაციო საათების ცხრილის შემუშავება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- სასურველია მარკეტინგის ლექტორებმა სტუდენტებს მისცენ საშუალება პრაქტიკულად აჩვენონ რა ისწავლეს კურსის ფარგლებში.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³

-

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებას არ წარმოუდგენია არგუმენტირებული პოზიცია

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უნივერსიტეტმა თავისი ბიზნეს კლასტერის პროგრამების ფარგლებში სხვადასხვა განვითარება წარმოაჩინა. ბოლო აკრედიტაციის შემდეგ, კურიკულუმები უფრო მეტად მოერგო დარგობრივ ნიშნულებს და განათლების სტანდარტებს. მათ მოახდინეს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების რესტრუქტურიზაცია და მეტი სპეციალიზაცია შეიტანეს მათში. უნივერსიტეტმა ასევე დაამატა ახალი კურსები და გადაიხედა არსებული სილაბუსები, რათა უკეთ ყოფილიყო ასახული სფეროში მომხდარი ბოლოდროინდელი მიღწევები. ამჯერად ნიუ ვიუენ უნივერსიტეტს სურს შემოიტანოს ახალი პროგრამები, როგორიცაა აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში, სამოქალაქო ინჟინერის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

ამ კლასტერში არსებული პროგრამების პრაქტიკული კომპონენტები გაძლიერდა ნიუ ვიუენ უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ კომპანიებში ქეფსთოუნ პროექტების დანერგვითა და სტაჟირების შემოღებით ან პარტნიორობით, რომლის მიზანია სტუდენტებს საშუალება მისცეს პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სწავლების უფრო თანამედროვე მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა პროექტზე დაფუძნებული და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ბიზნეს სიმულაციები.

³ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასების მიღები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიღომის გამოყენებით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტი/კომპონენტი:	შეფასების მიღები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამეცნიერო უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური

⁴ შეფასების მიღები: აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიღები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია სტუდენტები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და თნდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (BBA) 6

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტები უზრუნველყოს ყოვლისმომცველი განათლებით ბიზნესის, ჯანდაცვის, ფეხბურთის, დაზღვევის და ლიზინგის და კულტურული მემკვიდრეობის სექტორებში. სასწავლო პროგრამა მოიცავს ბიზნესის მართვის ძირითად სფეროებს, მათ შორის სოციალურ პასუხისმგებლობას, სტრატეგიას, მეწარმეობას, ფინანსებს, მარკეტინგსა და ლიდერობას.

პროგრამის კონკრეტული მიმართულებები გვთავაზობს სპეციალიზირებულ სწავლებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაცია და მენეჯმენტი, ფეხბურთის ადმინისტრირება, სპორტის ეკონომიკა და მარკეტინგი, დაზღვევა და ლიზინგის პროდუქტების მართვა, რისკის შეფასება და ინოვაციური მეთოდოლოგიები. გარდა ამისა, ხელმისაწვდომია ისეთი კურსები, როგორიცაა კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი, ხელოვნების ეკონომიკა და მუზეუმის ადმინისტრირება. პროგრამა შექმნილია იმისთვის, რომ განვითაროს როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული უნარები, რომლებიც შეესაბამება ადგილობრივი და საერთაშორისო სამუშაო ბაზრების მოთხოვნებს.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, შედეგების მიღწევის განსაზღვრული გზებითა და ვადებით. ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სფეროები სრულყოფილად არის დაფარული და თითოეული კონცენტრაცია ასახავს სპეციალიზაციის შესაბამის თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს. აქცენტი გაკეთებულია მენეჯმენტის ზოგად უნარებზე, სპეციალიზებული ცოდნით, რომელიც მორგებულია თითოეულ კონცენტრაციაზე, ხელს უწყობს ეთიკურ ღირებულებებს, მდგრად განვითარებას, გლობალურ პერსპექტივებს და საერთაშორისო დასაქმების შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტის მისიაა ინდივიდუალური თვალსაწიერის გაფართოება განათლების, კვლევისა და ინოვაციების მეშვეობით. ის ხელს უწყობს ინდივიდებს დახვეწონ და გაუზიარონ ცოდნა, უნარები და ღირებულებები საზოგადოების სასარგებლოდ. ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი ხაზს უსვამს სოციალურ პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს თანაბარი განათლების ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

უნივერსიტეტის მისიაა და პროგრამის მიზნების ანალიზი ხაზს უსვამს მნიშვნელოვან შესაბამისობას ძირითად სფეროებში. უნივერსიტეტის მისია პირველი კომპონენტი - ინდივიდუალური თვალსაწიერის გაფართოება განათლების, კვლევისა და ინოვაციების მეშვეობით - აისახება პროგრამის მიზანში, უზრუნველყოს მრავალგანზომილებიანი განათლება სხვადასხვა სფეროში, ინოვაციური მიდგომების ინტეგრირებით.

მისიას აქცენტი პიროვნებების წახალისებაზე ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გაღრმავებისა და გავრცელების კუთხით აისახება პროგრამის თეორიული და პრაქტიკული უნარების ინტეგრაციაში. სოციალური პასუხისმგებლობა პროგრამის ძირითადი ღირებულებაა, რომელიც ასახულია სასწავლო გეგმის ინტერდისციპლინურ მიდგომაში და ყოვლისმომცველი კომპეტენციების განვითარებაში.

უნივერსიტეტის მისია მოიცავს სოციალურ ფოკუსს, რაც აისახება პროგრამაში სოციალურად მნიშვნელოვანი სფეროების - ჯანდაცვის, კულტურისა და სპორტის ჩართვაში. სოციალური პასუხისმგებლობა ჩართულია პროგრამის ძირითად ღირებულებებში და ორიენტირებულია საზოგადოების კეთილდღეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სფეროების განვითარებაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერის მენეჯმენტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს ყოვლისმომცველი, დისციპლინათაშორისი განათლება ბიზნესის მენეჯმენტში და სამშენებლო ინდუსტრიაში. მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამის საშუალებით სტუდენტები შეიძლენ როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ უნარებს, ამასთანავე, განვითარებენ ეთიკურ ღირებულებებს ძირითად სფეროებში, როგორიცაა მენეჯმენტი, ბიზნეს პოლიტიკა და სტრატეგია, ინოვაცია, ოპერაციების მენეჯმენტი, ადამიანური რესურსები, მეწარმეობა, ფინანსები, მარკეტინგი, ბუღალტერია, სამოქალაქო ინჟინერია, მდგრადი განვითარება და ბიზნეს კომუნიკაცია.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, საჭირო კომპეტენციების თვალსაზრისით რეალისტურია და მიღწევადი და გააჩნია კონკრეტული ვადები და ეტაპები პროგრესის მისაღწევად. სასწავლო პროგრამა სრულყოფილად ფარავს ბიზნესის მენეჯმენტისა და სამშენებლო ინდუსტრიის ძირითად სფეროებს და აერთიანებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტებს. დაკონკრეტებულია ძირითადი ცოდნის სფეროები და ხაზგასმულია პრაქტიკული უნარების განვითარება. ეთიკური ღირებულებები, მდგრადი განვითარების პრინციპებთან ერთად, ჩართულია მთელი პროგრამის ფარგლებში.

მოცემული პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. კომპლექსური და ინტერდისციპლინარული განათლების მიცემის მიზნით, რომელიც აერთიანებს ინოვაციებსა და მეწარმეობას, პროგრამა ხაზს უსვამს როგორც თეორიული ცოდნის შეძენის მნიშვნელობას, ასევე პრაქტიკული უნარების ათვისებას. გარდა ამისა, ის პრიორიტეტს ანიჭებს ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას, მდგრადი განვითარების შეხედულებებს და მოიცავს სოციალური პასუხისმგებლობის

კომპონენტს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (MBA)

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს თანამედროვე ბიზნეს თეორიების, მოდელებისა და პრაქტიკული აპლიკაციების შესახებ ყოვლისმომცველი და სისტემური ცოდნა. პროგრამა შექმნილია იმისათვის, რომ სტუდენტებს განუვითაროს გლობალური ბიზნეს გარემოს რთული დინამიკის კრიტიკული ანალიზის უნარი. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ეფექტური ინსტრუმენტების გამოყენებით, სტუდენტებს განუვითარდებათ სტრატეგიული აზროვნება და ანალიტიკური უნარები, რაც მათ საშუალებას მისცემს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ითვალისწინებს პოლიტიკურ, იურიდიულ, ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს ბიზნეს ოპერაციებში.

პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, შეესაბამება სამაგისტრო დონის განათლების მოთხოვნებს და მიღწევადია მითითებული შესრულების ინდიკატორებისა და ვადების გათვალისწინებით. ის ასახავს სამაგისტრო პროგრამისთვის შესაბამის სირთულის დონეს, სთავაზობს „ღრმა სისტემურ ცოდნას“, მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების უმთავრეს ასპექტებს და აერთიანებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს. სასწავლო პროგრამა ხაზს უსვამს კრიტიკულ აზროვნებას და აერთიანებს თანამედროვე ბიზნეს თეორიებს, მოდელებსა და პრაქტიკებს, ხელს უწყობს ისეთი არსებითი უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული შეფასება, სტრატეგიული აზროვნება, ანალიტიკური აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას საფუძვლიანი, სისტემური განათლების მიწოდებით, რომელიც აერთიანებს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინსტრუმენტებს. ის ხელს უწყობს სტუდენტებს განივითარონ და გააზიარონ ცოდნა, უნარები და ღირებულებები. კერძოდ, პროგრამა ხელს უწყობს კრიტიკული ანალიზისა და სტრატეგიულ აზროვნების უნარის განვითარებას, სოციალური გამოწვევების გაგებას და ხაზს უსვამს ამ გამოწვევების გათვალისწინების მნიშვნელობას გლობალური ბიზნეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 120 კრედიტს და კურსდამთავრებულებს ანიჭებს ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრის კვალიფიკაციას, მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ სრულყოფილი და სისტემური ცოდნა ჯანდაცვის სისტემის მართვის თანამედროვე თეორიებში, მოდელებსა და პრაქტიკულ ასპექტებში.

პროგრამა ფოკუსირებულია სტუდენტებს გამოუმუშავოს გლობალური ჯანდაცვის გარემოს რთული დინამიკის კრიტიკული ანალიზის უნარი. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ეფექტური ინსტრუმენტების გამოყენებით სტუდენტებს განუვითარდებათ სტრატეგიული აზროვნების, ლიდერობისა და ანალიტიკური უნარები ჯანდაცვის სერვისების, დაფინანსების, პოლიტიკის, კანონისა და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით.

პროგრამა შექმნილია ჯანდაცვის ორგანიზაციის მენეჯერების ჩამოყალიბებისთვის, რომლებსაც ექნებათ დარგის უნიკალური მოთხოვნების ფართო და ღრმა გაგება. კურსდამთავრებულები კარგად იქნებიან მომზადებულნი, რათა გამოიყენონ შესაბამისი მეთოდები და ინსტრუმენტები სხვადასხვა სიტუაციაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ეთიკური პრინციპებისა და სოციალური პასუხისმგებლობის

განვითარებაზე, რაც კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს პოზიტიური წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში, ეფექტურად მოერგონ განვითარებად და კონკურენტულ გარემოს და მუდმივად გაიზარდონ პროფესიულად.

პროგრამის მიზანი მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული, შეესაბამება სამაგისტრო დონეზე მოსალოდნელ სირთულეს და მიღწევადია 120 კრედიტის ფარგლებში, ასევე განსაზღვრულია კონკრეტული ვადები და ინდიკატორები. მიზანი შეესაბამება სამაგისტრო დონის განათლების მოთხოვნებს („ღრმა სისტემური ცოდნა“) და ასახავს ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციფიკურ საჭიროებებს, ამასთანავე, აერთიანებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტებს. სასწავლო პროგრამა მოიცავს დარგის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს - მომსახურებას, დაფინანსებას, პოლიტიკას და კანონმდებლობას - და ხაზს უსვამს სოციალურ პასუხისმგებლობას, ეთიკურ პრიციპებს და მიზანს, რომ პოზიტიური წვლილი შეიტანოს საზოგადოების წინსვლასა და ჯანდაცვის სისტემების გაუმჯობესებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში)

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში არის 72 კრედიტიანი პროგრამა, რომელიც კურსდამთავრებულებს ანიჭებს აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს მენეჯმენტში. ეს პროგრამა სპეციალურად შექმნილია საშუალო რგოლის კარიერის მენეჯერებისთვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება და ეძებენ პროფესიულ ზრდას ინოვაციების მენეჯმენტის სფეროში. თანამედროვე თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან შერწყმაზე ფოკუსირებით, პროგრამა მენეჯერებს აღჭურავს სათანადო უნარებით, რათა დაგეგმონ და წარმატებით განახორციელონ ინოვაციური პროცესები თავიანთ ორგანიზაციებში.

პროგრამის მირითადი აქცენტი მდგომარეობს ლიდერობისა და ინოვაციების სტრატეგიული მენეჯმენტის უნარების განვითარებაში, რაც კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას აძლევს ეფექტურად მართონ ორგანიზაციული ზრდა და განახორციელონ ცვლილები თავიანთ სამუშაო ადგილებზე. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს საფუძვლიანი, სისტემატური ცოდნა თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკის, ინოვაციების, სტრატეგიული მენეჯმენტისა და ციფრული ტრანსფორმაციის, სტრატეგიული აზროვნების, კრიტიკული ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებაში, რაც გადამწყვეტია დღევანდელ რთულ ბიზნესგარემოში ნავიგაციისთვის.

შექმნილია რა მაღალკვალიფიციური მენეჯერებისა, აღმასრულებლებისა და მეწარმეების მოსამზადებლად, პროგრამა პრიორიტეტს ანიჭებს ეთიკურ პრინციპებს და სოციალურ პასუხისმგებლობას. კურსდამთავრებულები აღჭურვილნი იქნებიან უნარებით, რომ სწრაფად ადაპტირდნენ ცვალებად გარემოსთან და აქტიურად ჩამოყალიბებით და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებებში ცოდნის გაზიარებისა და თანამშრომლობის გზით.

პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ლოგიკურადაა სტრუქტურირებული, იგი შეესაბამება სამაგისტრო დონის მოლოდინებს, განსაკუთრებით პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიონალებისთვის. ეს მიზანი ასახავს სამაგისტრო დონის „სისტემური ცოდნის“ სიღრმეს და აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის უნიკალურ ასპექტებს, თეორიულ საფუძვლებზე და პრაქტიკულ გამოყენებაზე დაბალანსებული აქცენტით. იგი საფუძვლიანად ასახავს მოსალოდნელ ცოდნას (თანამედროვე ბიზნეს თეორიები, ინოვაციების

მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტი, ციფრული ტრანსფორმაცია), უნარ-ჩვევებს (სტრატეგიული აზროვნება, კრიტიკული ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება, ლიდერობა და ინოვაციური სტრატეგიის შემუშავება) და კომპეტენციებს (ცვალებად გარემოსთან ადაპტაცია, საერთაშორისო თანამშრომლობა, პროფესიული განვითარება და ეთიკური პასუხისმგებლობა), რასაც კურსდამთავრებულები მიაღწევენ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (DBA)

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა არის მესამე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 60 ECTS კრედიტს, როგორც სასწავლო კომპონენტს, რაც მთავრდება ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ინდივიდუალურ ზრდას ბიზნესის ადმინისტრირებაში, მოამზადოს ისინი, როგორც დარგის მაღალი დონის მკვლევარები და ლიდერები საჭირო კომპეტენციებით, რომლებიც აუცილებელია როგორც მაღალი ხარისხის კვლევისთვის, ასევე აკადემიური სწავლებისთვის. პროგრამის გამორჩეული თვისებაა მისი ძლიერი აქცენტი კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, პრობლემების გადაჭრის შემოქმედებითი უნარების გაძლიერებაზე და ინოვაციური ცოდნის გენერირებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე. ამ მიზნების მისაღწევად პროგრამა კურსდამთავრებულებს უზრუნველყოფს აუცილებელი კვლევითი და აკადემიური ინსტრუმენტებით, რაც მათ საშუალებას აძლევს ეფექტურად ჩაერთონ სამეცნიერო საქმიანობაში.

პროგრამის მიზანი ემთხვევა უნივერსიტეტის მისიას, კონკრეტულად, ასახავს მისიის კომპონენტს „პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშეწყობა და პიროვნების თვალსაწიერის გაფართოება“. პროგრამაში თვალწათლივ ხაზგასმულია კვლევითი კომპონენტი, რომელიც მიზნად ისახავს მოამზადოს „მაღალი დონის მკვლევარები“, ხოლო საგანმანათლებლო კომპონენტი წარმოდგენილია სასწავლო კურსებით, რომლებიც ხეხბა მოწინავე კომპეტენციების განვითარებას, რაც აუცილებელია წარმატებისთვის როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ გარემოში.

შრომის ბაზარი, ინტერნაციონალიზაცია და საჯაროობა

2024 წელს ყველა პროგრამაში ჩატარდა სამაგიდო კვლევა ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვნის ანალიზის მიზნით, ასევე შრომის ბაზრის ტენდენციების შესახებ საქართველოში და საერთაშორისო დონეზე (კონკრეტულად დიდ ბრიტანეთში, ინდოეთში და ისრაელში).

კვლევამ გამოავლინა საქართველოში უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნის სტაბილური ზრდა, განსაკუთრებით კი პოპულარულია ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამები. საქართველოს შრომის ბაზარი აჩვენებს მაღალ მოთხოვნას ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტებზე, ხოლო მენეჯერულ პოზიციებზე მოთხოვნა სტაბილურია.

საერთაშორისო დონეზე ანალიზმა აჩვენა, რომ დიდ ბრიტანეთში ბიზნესსექტორი სტაბილურია, მზარდი დასაქმების შესაძლებლობებით. ინდოეთში ბიზნეს სერვისების სექტორი აგრძელებს გაფართოებას, რაც აისახება დასაქმებულთა მზარდი პროპორციით. ისრაელში გამოვლინდა ძლიერი კორელაცია განათლების მიღწევებსა და დასაქმების შესაძლებლობებს შორის.

ამ დასკვნებიდან გამომდინარე, პირველადი რეკომენდაცია იყო საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება ბიზნესის ადმინისტრირებასა და მენეჯმენტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და

დოქტორანტურის დონეზე. უნივერსიტეტის სამედიცინო პროფილის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯანდაცვის მენეჯმენტს.

თუმცა, სასწავლო მასალების ანალიზი აჩვენებს, რომ ანგარიშს აკლია დეტალური ინფორმაცია შრომის ბაზრის მოთხოვნადი უნარების შესახებ. ეს შეზღუდვა აღნიშნულია კვლევის დასკვნაში: „დამსაქმებლის საჭიროებების კვლევა კონკრეტული ცოდნისა და მნიშვნელოვანი უნარების შესახებ არ ჩატარებულა“. კვლევა ძირითადად ფოკუსირებულია შემდეგ საკითხებზე:

- მოთხოვნა პროგრამაზე
- დასაქმების ზოგადი ინდიკატორები
- ვაკანსიების რაოდენობრივი ანალიზი
- დარგობრივი განაწილება

შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის მეტი შესაბამისობისთვის რეკომენდებულია დამატებითი კვლევა, რომელიც ორიენტირებული იქნება დამსაქმებლის მოთხოვნებზე კონკრეტული უნარებისა და კომპეტენციების მიმართ.

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები და დეტალები საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

გასაუბრებამ დაადასტურა, რომ უნივერსიტეტს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ინტეგრირებული მის საგანმანათლებლო პროგრამებში. ყველა პროგრამა შემოთავაზებულია ინგლისურ ენაზე და გათვლილია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სტუდენტებზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ის მისია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- ვებგვერდი <https://newvision.ge/ka>
- პროგრამის კატალოგი: <https://newvision.ge/ka/programs/master>, <https://newvision.ge/ka/programs/phd>
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა უკეთ მოერგოს შრომის ბაზრის საჭიროებებს,

ჩატარდეს დამატებითი კვლევა, რომელიც კონკრეტულად შეისწავლის დამსაქმებელთა
მოთხოვნების სასურველ უნარებსა და კომპეტენციებზე.

შეფასება 7

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაში ად მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისო ბაშია მოთხოვნე ბთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგარმა ონლაინების მენეჯმენტში)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობის გრძნობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტები იძენენ პროგრამის დასრულების შედეგად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (BBA)

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები იძენენ ღრმა და სისტემურ ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირებასა და მენეჯმენტში. მათ შეუძლიათ გაიგონ თანამედროვე თეორიები, გამოიყენონ მდგრადი განვითარების პრინციპები და გააანალიზონ ბიზნეს გარემოს სპეციფიკა.

კურსდამთავრებულებს უვითარდებათ სპეციალიზებული ცოდნას მათ მიერ არჩეული კონცენტრაციის საფუძველზე. ჯანდაცვის ადმინისტრირების მიზნით, ისინი ეცნობიან სამედიცინო დაწესებულებების მენეჯმენტს, ეთიკურ პრინციპებს და ოპერაციულ მენეჯმენტს. ისინი, ვინც ორიენტირებულნი არიან ფეხბურთის ადმინისტრირებაზე, ცოდნასა და გამოცდილებას იძენენ დარგის სპეციფიკურ მენეჯმენტში, მარკეტინგისა და ფინანსური სტრატეგიების სფეროში. ფინანსური მომსახურების კურსდამთავრებულები იძენენ ცოდნას სადაზღვევო და ლიზინგის სექტორებში, მათ შორის მარკეტინგის სტანდარტები და საოპერაციო პროცესები. გარდა ამისა, კულტურული მემკვიდრეობის ადმინისტრირებაში სპეციალიზირებული პირები აღჭურვილნი არიან ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის, შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის უნარებით.

პროგრამის კურსდამთავრებულები ფლობენ მოწინავე პრაქტიკულ უნარებს, მათ შორის პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის, ბიზნესპროცესების მართვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და პროექტების დაგეგმვისა და შესრულების უნარებს. ისინი აჩვენებენ ეფექტურ პროფესიულ კომუნიკაციას და ეფექტურად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს.

პროგრამა დიდ აქცენტს აკეთებს პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებაზე. კურსდამთავრებულები აცნობიერებენ თავიანთ სოციალურ პასუხისმგებლობებს, იცავენ ეთიკურ პრინციპებს და ორიენტირებულნი არიან უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მის მიზნებს და მოიცავს იმ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რაც კურიკულუმითაა განსაზღვრული. შედეგები, რომელთა აღსაღწერად გამოყენებულია აქტიური ზმები, გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია ხელმისაწვდომი რესურსებისა და დროის ფარგლებში და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს. სწავლის შედეგები ასევე შეფასდა კვალიფიკაციის ჩარჩოში შემუშავებული დარგობრივი სტანდარტების მიხედვით, რამაც აჩვენა, რომ ეს დარგობრივი მახასიათებლები თავსებადია პროგრამის კურიკულუმთან (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები
განხილავს ბიზნესის მართვის ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს.	აღწერს ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროს მახასიათებლებს, თანამედროვე თეორიებს, ძირითადი დისციპლინების მთავარ პრინციპებსა და

	კონცეფციებს და მდგრადი განვითარების პრინციპებს.
დეტალურად აღწერს ბიზნეს გარემოს, ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებში მიმდინარე ტენდენციებს და ბიზნეს პროცესებს.	მსჯელობს ბიზნესის ადმინისტრირების მენეჯმენტის სპეციფიკასა და საქმიანობის ეკონომიკურ გარემოზე, ორგანიზაციულ გარემოზე მოქმედ ფაქტორებსა და მიმდინარე ბიზნეს პროცესებზე;
აანალიზებს ორგანიზაციულ საქმიანობას და შეიმუშავებს გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს ბიზნესის ფუნქციურ სფეროებში არსებული საკითხების გადასაჭრელად, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდების გამოყენებით.	მართავს ბიზნეს პროცესებს, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს გადაწყვეტილების მიღებისთვის ორგანიზაციის რესურსების გამოყენებით შესაბამისი მონაცემებისა და წყაროების საფუძველზე და განსაზღვრავს მოქმედების შემდგომ ზომებს. ამ პროცესში ეყრდნობა ბიზნეს ღირებულებებს და მიმართავს ორგანიზაციული განვითარების შეფასების მეთოდებს.
განსაზღვრავს ბიზნესთან დაკავშირებულ რისკებს და გვთავაზობს სტრატეგიებს მათი მართვისათვის.	
შეიმუშავებს და ახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს შესაბამის კვლევით ან პრაქტიკულ პროექტს/ნაშრომს და წარმოადგენს მას შესაბამისი ფორმატებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.	მონაწილეობს პროექტების, ოპერაციებისა და სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში. შეიმუშავებს და ახორციელებს ბიზნესის მართვის მცირე პრაქტიკულ პროექტებს.
ეფექტურად მუშაობს გუნდში, იყენებს ლიდერობის ან/და თანამშრომლობის პრინციპებს.	
იყენებს თანამედროვე კომუნიკაციას და ინფორმაციას.	ამყარებს კომუნიკაციას პროფესიონალურ წრეებთან
ტექნოლოგიებთან.	და დაინტერესებულ სახოგადოებასთან, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით, სათანადო პროფესიული ტერმინოლოგიისა და კონტექსტთან დაკავშირებული ტექნოლოგიების გამოყენებით.
აფასებს ორგანიზაციაში სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს ეთიკის წორმების/პრინციპების მნიშვნელობას.	
გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით შეიმუშავებს პიროვნული და პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმას.	

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს ფუნდამენტურ ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირებასა და მენეჯმენტში, მათ შორის თანამედროვე თეორიების, ძირითადი პრინციპებისა და კონცეფციების შესახებ. მათ ესმით სამშენებლო ინდუსტრიის მენეჯმენტის სპეციფიკა, ეკონომიკური და ორგანიზაციული ასპექტები, მდგრადი განვითარების ფაქტორები და ბიზნესპროცესები.

კურსდამთავრებულს შეუძლია გაანალიზოს სამშენებლო ორგანიზაციის წინაშე არსებული როგორც შიდა, ისე გარე გამოწვევები და განსაზღვროს ოპტიმალური გადაწყვეტილებები დაგეგმვის, სტატისტიკური და ბიზნეს მეთოდების გამოყენებით. ისინი ეფექტურად უძლვებიან ბიზნეს პროცესებს და იღებენ ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს ორგანიზაციული რესურსების რაციონალური გამოყენებით, აფასებენ ბიზნეს ღირებულებებს და განვითარების პერსპექტივებს. კურსდამთავრებული აქტიურად მონაწილეობს პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში და ოპერატიული და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

კურსდამთავრებულს შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს მცირე ბიზნესპროექტები, ეფექტური კომუნიკაცია დაამყაროს დაინტერესებულ მხარეებთან როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით ინდუსტრიის სპეციფიკური ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ისინი ასრულებენ მენეჯერულ მოვალეობებს ობიექტური თვითშეფასების საფუძველზე, იცავენ ბიზნეს ეთიკის პრინციპებს, აცნობიერებენ სოციალურ პასუხისმგებლობას და მიისწარფვიან უწყვეტი პროფესიული განვითარებისკენ.

ცხრილი 2

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი ნიშნული	სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები
მსჯელობს ბიზნესის მართვის ძირითად თეორიებსა და ცნებებზე.	აღწერს ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროს თავისებურებებს, თანამედროვე თეორიებს და ძირითადი დისციპლინების მთავარ პრინციპებსა და კონცეფციებს.
დეტალურად აღწერს ბიზნეს გარემოს, ბიზნესის ფუნქციურ სფეროებში განვითარებულ მოვლენებს და ბიზნეს პროცესებს.	განიხილავს სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის სპეციფიკას, ოპერაციების ეკონომიკურ გარემოს, ორგანიზაციული გარემოს მდგრად განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს და მიმდინარე ბიზნეს და სამეწარმეო პროცესებს.
ანალიზებს ორგანიზაციულ საქმიანობას და შეიმუშავებს გადაწყვეტილებებს/რეკომენდაციებს ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებში არსებული საკითხების გადასაჭრელად, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდების გამოყენებით.	განსაზღვრავს შიდა და გარე გამოწვევებს, რომლებსაც აწყდებიან სამშენებლო მენეჯმენტში ჩართული ორგანიზაციები და, შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, აგვარებს მათ რაციონალური, ცოდნაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მოძიებით

	დაგეგმვის, სტატისტიკური და ბიზნეს მეთოდების გამოყენებით.
იყენებს მეთოდებს ბიზნესის ღირებულებისა და ზრდის შესაფასებლად.	ხელმძღვანელობს ბიზნეს პროცესებს, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს გადაწყვეტილების მიღებისთვის ორგანიზაციის რესურსების გამოყენებით, შესაბამისი მონაცემებისა და წყაროების საფუძველზე და განსაზღვრავს მოქმედების პოტენციურ კურსებს. ამ პროცესში მიმართავს ბიზნეს ღირებულებებს და ორგანიზაციული განვითარების შეფასების მეთოდებს.
განსაზღვრავს ბიზნესთან დაკავშირებულ რისკებს და გვთავაზობს რისკების მართვის სტრატეგიებს.	
შეიმუშავებს და ახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის დამახასიათებელ კვლევით ან პრაქტიკულ პროექტს/ნაშრომს, და წარმოადგენს მას სათანადო ფორმატებისა და კონტექსტის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.	მონაწილეობს პროექტების, ოპერაციებისა და სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში.
ეფექტურად მუშაობს გუნდში ლიდერობის ან/და თანამშრომლობის პრინციპების გათვალისწინებით.	
იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებს.	შეიმუშავებს და ახორციელებს ბიზნესის მართვის მცირემასშტაბიან პრაქტიკულ პროექტებს, ურთიერთობს პროფესიულ წრეებთან და დაინტერესებულ საზოგადოებასთან, როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით და იყენებს კონტექსტის შესაბამის პროფესიულ ტერმინოლოგიასა და ტექნოლოგიებს.
აფასებს ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს ეთიკის ნორმების/პრინციპების დაცვის მნიშვნელობას.	საფუძვლიანი თვითშეფასების საფუძველზე, ასრულებს მენეჯერულ ფუნქციებს, აცნობიერებს ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის, მდგრადი განვითარებისა და ბიზნეს ეთიკის პრინციპების მნიშვნელობას და აჩვენებს მზადყოფნას და უნარს ჩაერთოს დამოუკიდებელ პროფესიულ განვითარებაში.
გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით ადგენს სამოქმედო გეგმას პიროვნული სწავლისა და პროფესიული განვითარებისათვის.	

პროგრამის სწავლის შედეგებისა და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო დონის სპეციფიკური დარგობრივი მახასიათებლების შედარებითი ანალიზი მიუთითებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის დარგობრივი სპეციფიკური მახასიათებლები. მიუხედავად იმისა, პროგრამას ჰქვია „სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტი“, რომელიც მოიცავს 66 კრედიტის მოცულობის კონცენტრაციას, პროგრამის

სწავლის შედეგები საკმარისად არ ასახავს იმ კომპეტენციებს, რომლებიც მიიღწევა სამოქალაქო ინჟინერიის კონცენტრაციის ფარგლებში.

კონკრეტულად, არსებული სწავლის შედეგები შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

- „მსჯელობს სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის სპეციფიკაზე და ოპერაციების ეკონომიკურ გარემოზე, ორგანიზაციული გარემოს მდგრად განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებზე და მიმდინარე ბიზნეს და სამეწარმეო პროცესებზე.“
- „ახდენს სამშენებლო მენეჯმენტში ჩართული ორგანიზაციის შიდა და გარე პრობლემების იდენტიფიცირებას, და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, წყვეტს მათ რაციონალური და ცოდნაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მოძიებით, დაგეგმვის, სტატისტიკური და ბიზნეს მეთოდების გამოყენებით.“

თუმცა, სტუდენტებმა უნდა შეიძინონ ისეთი მნიშვნელოვანი კომპეტენციები, როგორიცაა

- სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშება თანამედროვე საინჟინრო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით;
- პროფესიული სტანდარტების შესაბამისად სამშენებლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;
- სამშენებლო ობიექტებზე უსაფრთხოების საკითხების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;
- სამშენებლო პროექტების ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება.

რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და მოხდეს მათი მოდიფიცირება, რათა უკეთ შეესაბამებოდეს სამოქალაქო ინჟინერიის კონცენტრაციას. კონკრეტულად, სწავლის შედეგები ნათლად უნდა ასახავდეს როგორც ტექნიკურ, ასევე მენეჯერულ კომპეტენციებს, რომლებიც სტუდენტებმა უნდა შეიძინონ სამოქალაქო ინჟინერიის კონცენტრაციის ფარგლებში. ეს კორექტოვები მეტ სიცხადეს შესძენს პროგრამის მიზნებსა და შინაარსს და სრულყოფილად ასახავს იმ კომპეტენციებს, რომლებსაც დაეფლებან კურსდამთავრებულები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს თანამედროვე მიდგომების, თეორიებისა და ბიზნესის სფეროში არსებული ბიზნესპროცესების შესახებ სიღრმისეულ და სისტემურ ცოდნას. ის კრიტიკულად აანალიზებს ბიზნესში მიმდინარე პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს და იძლევა დასაბუთებულ არგუმენტებს ბიზნეს სტრატეგიებთან, ქმნის ეფექტურ გადაწყვეტილებებს სტრატეგიული გეგმების შემუშავების მიზნით, ქმნის ეფექტურ გადაწყვეტილებების მოდელებსა და რეკომენდაციებს სამეცნიერო და ანალიტიკური უნარების, ასევე მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციის საშუალებით.

კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესის მენეჯმენტის მიმდინარე საკითხებისა და განვითარების ტენდენციების იდენტიფიცირება, მათი სხვადასხვა პერსპექტივიდან და ინოვაციური გზებით ანალიზი, მათ შორის, თანამედროვე ტექნილოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით. ის დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს სტრატეგიული გეგმების შემუშავების მიზნით, ქმნის ეფექტურ გადაწყვეტილებების მოდელებსა და რეკომენდაციებს სამეცნიერო და ანალიტიკური უნარების, ასევე მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციის საშუალებით.

კურსდამთავრებული პროფესიულ ურთიერთობებს ამყარებს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ის აქტიურად მონაწილეობს

დისკუსიებში, არგუმენტირებულად წარმოაჩენს თავის ცოდნას, მიდგომებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, განსაკუთრებით პროექტებისა და სამაგისტრო ნაშრომების მეშვეობით.

საგანმანათლებლო და კვლევით გარემოში, ასევე სამომავლო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების დროს, კურსდამთავრებული დამოუკიდებლად მუშაობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. მას სრულად ესმის, ითვალისწინებს და აფასებს სოციალური პასუხისმგებლობის, ბიზნეს ეთიკისა და მდგრადი განვითარების პრინციპებს, იყენებს მათ თავის საქმიანობაში და აქტიურად უწყობს ხელს ამ ღირებულებების გავრცელებას.

<p>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები</p>	<p>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები</p>
<p>სიღრმისეულად და სისტემატურად მიმოიხილავს თანამედროვე ცნებებს, თეორიებს, მიდგომებს და ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებულ მოდელებს.</p>	<p>ფლობს თანამედროვე მიდგომების, თეორიების და ბიზნეს პროცესების შესახებ სიღრმისეულ და სისტემურ ცოდნას</p>
<p>ბიზნესის მენეჯმენტის</p>	<p>სფეროში.</p>
<p>ერთვება ბიზნეს სტრატეგიებისა და ლიდერობის ძირითადი საკითხების შესახებ გამართულ კრიტიკულ და არგუმენტირებულ დისკუსიებში.</p>	<p>კრიტიკულად აღწერს ბიზნეს გარემოში მიმდინარე პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს; არგუმენტირებულად განიხილავს ბიზნეს სტრატეგიებთან, მეწარმეობასა და ლიდერობასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს.</p>
<p>აანალიზებს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებსა და ტენდენციებს და იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს განვითარების სტრატეგიებთან დაკავშირებით.</p>	<p>განსაზღვრავს ბიზნესის მართვის აქტუალურ საკითხებს და სისტემური განვითარების ტენდენციებს; აანალიზებს მათ სხვადასხვა პერსპექტივიდან და ინოვაციური გზების საშუალებით (მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით) და დამოუკიდებლად შეიმუშავებს მათი მართვის სტრატეგიებს.</p>
<p>ადგენს, აყალიბებს და წყვეტს ბიზნესის მართვასთან დაკავშირებულ პრობლემებს ინოვაციური გზებით, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით.</p>	<p>შეიმუშავებს გადაწყვეტილების ეფექტურ მოდელებს და იძლევა რეკომენდაციებს შესაბამისი სამეცნიერო და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით, მათ შორის მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციის გზით.</p>
<p>კომპანიის ღირებულების გაზრდის მიზნით იღებს გადაწყვეტილებებს რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და ექსტრაპოლაციის ჩათვლით.</p>	<p>ამყარებს პროფესიულ ურთიერთობებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებებთან, აზიარებს ცოდნასა და იდეებს, მონაწილეობს დისკუსიებში და არგუმენტირებულად წარადგენს დასკვნებსა და რეკომენდაციებს, განსაკუთრებით</p>

	პროექტებისა და სამაგისტრო ნაშრომების
	მეშვეობით.
დამოუკიდებლად ატარებს კვლევებს (სამაგისტრო ნაშრომს/დისერტაციას ან სამეცნიერო პროექტს/დისერტაციას) ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით.	ამყარებს ურთიერთობებს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ცოდნისა და იდეების გაზიარების მიზნით, მონაწილეობს დისკუსიებში და არგუმენტირებულად და სათანადო ფორმით წარმოაჩენს ცოდნას, მიდგომებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, განსაკუთრებით პროექტებისა და სამაგისტრო ნაშრომების მეშვეობით.
ავტონომიურად ავითარებს და/ან ახორციელებს პროექტებს უცნობ და მულტიდისციპლინურ გარემოში.	
ეფექტურად წარუდგენს კვლევის შედეგებს, მიგნებებს, არგუმენტებსა და დასკვნებს, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას, ასევე დაინტერესებულ მხარეებს.	
ავლენს ორგანიზაციაში სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს ეთიკის ნორმებისა და პრინციპების ცოდნას და აფასებს მათ.	ესმის, ითვალისწინებს და აფასებს ორგანიზაციაში სოციალური პასუხისმგებლობის, ბიზნეს ეთიკისა და მდგრადი განვითარების ნორმებსა და პრინციპებს, იყენებს მათ თავის საქმიანობაში და აქტიურად მონაწილეობს ამ ღირებულებების გავრცელებაში.
დამოუკიდებლად განსაზღვრავს შემდგომი სწავლისა და განვითარების	საჭიროებებს პიროვნული და პროფესიული ზრდისთვის.
საგანმანათლებლო და კვლევით გარემოში, ისევე როგორც	სამომავლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, მოქმედებს დამოუკიდებლად აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

პროგრამის სწავლის შედეგებისა და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის დარგობრივი მახასიათებლების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის დარგობრივი მახასიათებლები გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისას (იხ. ცხრილი 3).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის კურსდამთავრებული სიღრმისეულად იცნობს ჯანდაცვის პოლიტიკას, კანონმდებლობასა და ეთიკურ სტანდარტებს, რომლებიც წარმმართველი წანამდლორებია ჯანდაცვის მენეჯმენტის პრაქტიკაში. მას ესმის გლობალური ჯანდაცვის სისტემების სირთულე და დინამიკა, მათ შორის ჯანდაცვის სერვისები, დაფინანსება, პოლიტიკა და ჯანდაცვის სოციალურ-ეკონომიკური

დეტერმინანტები.

კურსდამთავრებულს კარგად აქვს გაცნობიერებული სტრატეგიული დაგეგმვისა და ლიდერობის თეორიები, რომლებიც აუცილებელია ჯანდაცვის ორგანიზაციის ეფექტური მართვისთვის, ასევე ხარისხის გაუმჯობესებისა და პაციენტის უსაფრთხოების პრინციპები და მეთოდები. გარდა ამისა, კურსდამთავრებულს აქვს ძლიერი საფუძველი ჯანდაცვის ეკონომიკაში, ფინანსურ მენეჯმენტში და რესურსების განაწილებაში.

კურსდამთავრებულს შეუძლია ჯანმრთელობის მართვის საკითხების კრიტიკული ანალიზი, მონაცემების ინტერპრეტაცია და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. ის ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ეფექტურად მუშაობს მრავალდისციპლინურ გუნდებთან. კურსდამთავრებული ასევე ფლობს ჯანდაცვის პროექტების მართვის, დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და ცვლილებების ინიცირების უნარს. გარდა ამისა, კურსდამთავრებული იყენებს თანამედროვე ჯანდაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიებს მონაცემების გასაანალიზებლად და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, ამასთანავე, ჯანდაცვის მენეჯმენტის ყველა ასპექტში იცავს ეთიკის პრინციპებს.

კურსდამთავრებული მუშაობს პროფესიული ეთიკის ფარგლებში, ავლენს კეთილსინდისიერებას, ანგარიშვალდებულებას და მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პატივისცემას. ის მოწოდებულია გააუმჯობესოს ჯანდაცვის სფეროში არსებული მიღწევები და მხარი დაუჭიროს პოლიტიკებს, რომლებიც ხელს უწყობს თანასწორობას და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, კურსდამთავრებული მზადაა უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის და ფეხდაფეხ მიჰყვება მიმდინარე ტენდენციებსა და ინოვაციებს ჯანდაცვის მენეჯმენტში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში)

პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს ბიზნესის სფეროში თანამედროვე მიდგომების, თეორიებისა და ბიზნეს პროცესების სიღრმისეულ და სისტემურ ცოდნას, სადაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ინოვაციაზე, სტრატეგიულ მენეჯმენტზე და ციფრულ ტრანსფორმაციაზე. ის კრიტიკულად აანალიზებს ინოვაციური ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში მიმდინარე პოლიტიკურ, იურიდიულ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს და მონაწილეობს დისკუსიებში, რომლებიც ეხება ბიზნეს სტრატეგიებთან, მეწარმეობასთან და ლიდერობასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე.

კურსდამთავრებულს შეუძლია გააანალიზოს ინოვაციური ბიზნესის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები და განვითარების ტენდენციები სხვადასხვა პერსპექტივიდან, მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით. იგი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს სტრატეგიული გეგმების შესამუშავებლად და ქმნის ეფექტურ გადაწყვეტილების მოდელებსა და რეკომენდაციებს მეცნიერული და ანალიტიკური უნარების, ასევე მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციის გამოყენებით.

კურსდამთავრებული წარმატებით ამყარებს პროფესიულ ურთიერთობებს როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებრთან ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ის აქტიურად მონაწილეობს დისკუსიებში და არგუმენტირებულად წარმოაჩენს თავის ცოდნას, მიდგომებს, დასკვნებსა და

რეკომენდაციებს, განსაკუთრებით პროექტებისა და სამაგისტრო ნაშრომების მეშვეობით.

როგორც საგანმანათლებლო და კვლევით გარემოში, ასევე სამომავლო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას კურსდამთავრებული მოქმედებს დამოუკიდებლად და იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. მას სრულად ესმის, ითვალისწინებს და აფასებს სოციალური პასუხისმგებლობის, ბიზნეს ეთიკისა და მდგრადი განვითარების პრინციპებს, და იყენებს მათ თავის საქმიანობაში, ასევე, აქტიურად მონაწილეობს ამ ღირებულებების გავრცელებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის კურსდამთავრებული კრიტიკულად აფასებს ბიზნესის ადმინისტრირების როლს და პოტენციალს საზოგადოებისთვის, აქტიურად აკვირდება ამ სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებსა და ტენდენციებს. მისი ცოდნა ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ ბიზნეს რეგულაციებს, პრაქტიკას და სამეცნიერო მიდგომებს, რაც საშუალებას აძლევს მას განახორციელოს მაღალი სტანდარტების კვლევითი საქმიანობა დოქტორანტურის დონეზე. ის სისტემატურად და კრიტიკულად ეცნობა სწავლებისა და კვლევის თანამედროვე ინოვაციურ მეთოდებს და სიღრმისეულად იაზრებს ბიზნესის სფეროში არსებულ რთულ საკითხებს.

სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში კურსდამთავრებული აფასებს და კრიტიკულად იაზრებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებულ მიღწევებს. ის გეგმავს და ახორციელებს მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ ინოვაციურ კვლევებს, კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებს. ეს პროცესი საშუალებას აძლევს მას მივიდეს საზოგადოებისთვის ახალი, ღირებული ცოდნის გენერირებამდე, რომელსაც აქვეყნებს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში.

კურსდამთავრებული აქტიურად ამყარებს და ავითარებს პროფესიულ ურთიერთობებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ის მონაწილეობს აკადემიურ დისკუსიებში და დამაჯერებლად წარმოაჩენს ახალ ცოდნასა და მეთოდოლოგიებს სადოქტორო კვლევის კონტექსტში. მას შეუძლია ეფექტურად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლების პროცესი თავისი კვლევის სფეროში, გამოავლინოს ლიდერობის უნარები და განახორციელოს საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი ცვლილებები.

კურსდამთავრებული მუდმივად ცდილობს განივითაროს თავისი კვლევისა და კრიტიკული აზროვნების უნარები, რათა ეფექტურად გაუმკლავდეს თეორიულ და პრაქტიკულ გამოწვევებს ბიზნესის ადმინისტრირებისა და ინტერდისციპლინურ სფეროებში. იგი აქტიურად მონაწილეობს ღირებულებების გავრცელებასა და გადაფასებაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზი მიუთითებს, რომ პროგრამის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან და ადეკვატურად ასახავს სადოქტორო დონეზე საჭირო ფუნდამენტურ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას.

როგორც 1.1 კომპონენტშია აღნიშნული, უნივერსიტეტმა ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა ის არ შეიცავს დეტალურ ინფორმაციას მოთხოვნადი კონკრეტული კომპეტენციების შესახებ. ეს შეზღუდვა აღიარებულია კვლევის დასკვნით ნაწილში, სადაც აღნიშნულია, რომ „არ ჩატარებულა დამსაქმებელთა

საჭიროებების კვლევა იმ სპეციფიკური ცოდნისა და უნარების შესაფასებლად, რომლებსაც დამსაქმებლები პრიორიტეტულად მიიჩნევენ."

აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგების შემუშავება არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელიც მოითხოვს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას. თუმცა, ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები არასაკმარისად არიან ჩართულნი და ინფორმირებულნი პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ვებგვერდი <https://newvision.ge/ka>
- გასაუბრებების შედეგები

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობის გაზრდა სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რჩევა(ები):

სასურველია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და მოხდეს მათი კორექტირება, რათა უკეთ მიესადაგოს სამოქალაქო ინჟინერიის კონცენტრაციას. კონკრეტულად, სწავლის შედეგები ნათლად უნდა ასახავდეს იმ ტექნიკურ და მენეჯერულ კომპეტენციებს, რომლებსაც სტუდენტები შეიძლენ სამოქალაქო ინჟინერიის კონცენტრაციის ფარგლებში.

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

საგანმანათლებლო პროგრამა)				
პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

ნიუ ვიუენ უნივერსიტეტში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია არის ყოვლისმომცველი ჩარჩო, რომელიც ასახავს სწავლის შედეგების შეფასების და მონიტორინგის პროცესს. ეს მეთოდოლოგია ეფუძნება PDCA ციკლს, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და რეაგირება.

მეთოდოლოგიის პირველი კომპონენტია კურიკულუმის ანალიზი, რომლის დროსაც ფასდება პროგრამისა და სასწავლო კურსების სტრუქტურა. ამ პროცესში იქმნება კურიკულუმის რუკა, რომელიც გვიჩვენებს სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლის შედეგების სამ დონეს: გაცნობა, გაღრმავება და

განმტკიცება.

მეორე ძირითადი კომპონენტია შეფასების მეთოდების იდენტიფიცირება. მეთოდოლოგია აერთიანებს როგორც პირდაპირ მეთოდებს (როგორიცაა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შეფასება), ასევე ირიბ მეთოდებს (როგორიცაა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა). სწავლის თითოეული შედეგისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, ხოლო მიღწევის დონის შესაფასებალდ გამოიყენება გაუსის (Gaussian) ნორმალური განაწილების მეთოდი.

მესამე კომპონენტი მოიცავს შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის გასაუმჯობესებლად. ფაქტობრივი მონაცემები შედარებულია სამიზნე ნიშნულებთან, სადაც დამვებულია 15% გადახრა. თუ გადახრა აღემატება აღნიშნულ ზღვარს, ტარდება დეტალური ანალიზი და საჭიროებისამებრ, ხდება პროგრამის მოდიფიცირება სწავლების მეთოდების, შინაარსის ან სტრუქტურის დონეზე.

შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც პირდაპირი (მაგ., საბოლოო პროექტი, სამაგისტრო ნაშრომი, დისერტაცია), ისე არაპირდაპირი მეთოდები, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა ტრიანგულაციას და შედეგების სანდოობას. შეფასების პერიოდი განსხვავებულია პროგრამის მიხედვით: ბაკალავრიატის საფეხურზე შეფასება 4 წელიწადს მოიცავს; სამაგისტრო საფეხურზე 2 წელს; EMBA პროგრამისთვის – 1 წელს; ხოლო სადოქტორო პროგრამებზე მინიმუმ 3 წელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი;
- კურიკულუმის რუკა;
- სამიზნე ნიშნულები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში და მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
---	--------------------------------------	--	---	---

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა)

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4: საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამები შემუშავებულია უმაღლეს სასწავლებელში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების არსებული მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც აღწერილია ნიუ ვიუენ უნივერსიტეტის დებულებაში საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესახებ (დოკუმენტის განახლებულ ვერსიის მე-17 მუხლი).

უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შვიდივე საგანმანათლებლო პროგრამა გამოირჩევა თავისი შინაარსით, მოცულობითა და სირთულის დონით, რაც შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურების შესატყვისია. ამასთანავე, პროგრამები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის

(ECTS) პრინციპების შესაბამისად.

სასწავლო პროგრამების სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობა ასახულია სწავლის შედეგების რუკაში, რომელიც აჩვენებს კურსების ფარგლებში სწავლების ძირითად სფეროებს და მათ კავშირს თითოეული პროგრამის სწავლის შედეგებთან. მთლიანობაში, სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის შესაბამისობა ლოგიკურად თანმიმდევრულია.

სასწავლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია დასტურდება რამდენიმე ძირითადი პარამეტრით: უსდ- ს მიერ შეთავაზებული ინგლისურენოვანი პროგრამები. ინგლისურენოვანი ლიტერატურა აქტიურად არის ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროცესში. გარდა ამისა, პროგრამები უზრუნველყოფს როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო გაცვლით სქემებში.

დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია (აკადემიური საბჭოს სხდომების გადაწყვეტილებები, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა, დამსაქმებელთა, აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები) ადასტურებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას პროგრამის შემუშავებაში.

თუმცა, პროგრამის სტრუქტურისა და მისი განვითარების დადებითი შეფასების მიუხედავად, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯარობა და ხელმისაწვდომობა. კერძოდ, ინფორმაცია ახალი პროგრამების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა)

"ბიზნესის ადმინისტრირება" არის 240-კრედიტიანი ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელიც ანიჭებს "ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის" კვალიფიკაციას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები შედგება 102 კრედიტისგან, რომელიც მოიცავს ბიზნესის ძირითადი სფეროს ფუნდამენტურ კურსებს. პროგრამა იწყება მენეჯმენტის საფუძვლებით და თანდათანობით აღრმავებს და ამლიერებს დარგის სხვადასხვა ასპექტს.

პროგრამა სრულყოფილად მოიცავს მენეჯმენტის სფეროს შემდეგი კურსებით: "მენეჯმენტის საფუძვლები", "ოპერაციების მენეჯმენტი", "მდგრადი ორგანიზაციული განვითარება და ადამიანური კაპიტალის მართვა", "მეწარმეობა, ლიდერობა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა". მარკეტინგის კომპონენტი დაფარულია კონცენტრაციებში. ფინანსების კომპონენტი გაძლიერებულია კურსით "კორპორატიული ფინანსები", ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის კომპონენტი წარმოდგენილია კურსით "ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება". დამატებით, პროგრამა სთავაზობს კურსებს "მიკროეკონომიკის პრინციპები" და "მაკროეკონომიკის პრინციპები", "კალკულუსი", "წრფივი ალგებრა" და "სტატისტიკური ანალიზი". ძირითადი კომპონენტი ასევე მოიცავს საკვალიფიკაციო ნაშრომს: მდგრადი მეწარმეობის საწარმო (30 ECTS). ძირითადი სფეროს კონცენტრაციების სწავლის შედეგები

შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამა მოიცავს 4 კონცენტრაციას თითო 30 კრედიტი:

1) ჯანდაცვის ადმინისტრირების კონცენტრაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ კურსებს:

- ინსტიტუციური საფუძვლები და ჯანდაცვის ეთიკა
- ჯანდაცვის დაწესებულებების სტრატეგიული მენეჯმენტი: ინოვაცია, ციფრული ტრანსფორმაცია და მდგრადობა
- გაყიდვები და მარკეტინგი ჯანდაცვის სისტემაში
- ტექნოლოგიები და ინოვაციები ჯანდაცვის ფინანსურ ინდუსტრიაში
- ფინანსური რესურსების მართვა ჯანდაცვის ორგანიზაციებში

2) ფეხბურთის ადმინისტრირებისკონცენტრაცია:

- სპორტის სამართალი და ეთიკა
- საფეხბურთო ორგანიზაციების სტრატეგიული მენეჯმენტი: ინოვაცია, ციფრული ტრანსფორმაცია და მდგრადობა
- მარკეტინგი ფეხბურთში - საფეხბურთო კლუბების სკაუტინგი და PR
- ტექნოლოგიები და ინოვაციები საფეხბურთო ინდუსტრიაში
- ფეხბურთის ინვესტიციები და ფინანსები

3) ფინანსური მომსახურების კონცენტრაცია (დაზღვევა და ლიზინგი):

- დაზღვევისა და ლიზინგის ინსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლები
- ლიზინგისა და სადაზღვევო ორგანიზაციების სტრატეგიული მენეჯმენტი: ინოვაცია, ციფრული ტრანსფორმაცია და მდგრადობა
- დაზღვევის და სალიზინგო პროდუქტების გაყიდვები და მარკეტინგი
- ტექნოლოგიები და ინოვაციები სადაზღვევო და ლიზინგის ინდუსტრიაში
- დაზღვევისა და ლიზინგის ფინანსური საფუძვლები: რისკების შეფასება და აქტივების მართვა

4) კულტურული მემკვიდრეობის ადმინისტრირება:

- ბიზნეს ეთიკა და კულტურული მემკვიდრეობა
- ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციების სტრატეგიული მართვა: ინოვაცია, ციფრული ტრანსფორმაცია და მდგრადობა
- გაყიდვები და მარკეტინგი ხელოვნებაში
- ტექნოლოგიები და ინოვაციები ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციებში
- ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციებში

ფინანსური რესურსების მართვა. პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს ზოგადი

კომპეტენციების კურსებისთვის.

და ბოლოს, პროგრამა გამოყოფს 78 კრედიტს არჩევითი კურსებისთვის ბიზნესის ადმინისტრირების თითოეული სფეროდან: ფინანსები, მარკეტინგი, პროგრამირება, მონაცემთა მეცნიერება და სხვადასხვა ანალიტიკური მეთოდები, როგორიცაა თამაშთა თეორია და ეკონომეტრიკა. გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ 60- მდე თავისუფალი კრედიტი, რომლის ფარგლებშიც მათ შეუძლიათ აირჩიონ კურსები უნივერსიტეტის სხვა პროგრამებიდან არჩევითი კურსების ნაცვლად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა)

სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა არის 240-კრედიტიანი ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელიც ანიჭებს კვალიფიკაციას "ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში". პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მირითადი კურსები შედგება 138 კრედიტისგან, რომელიც მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების (72 კრედიტი) და სამოქალაქო ინჟინერიის (66 კრედიტი) ფუნდამენტურ კურსებს. პროგრამა იწყება მენეჯმენტის საფუძვლების შესავლით და თანდათანობით აღრმავებს და აძლიერებს ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა ასპექტს. ამასთან, სამოქალაქო ინჟინერია იწყება სამოქალაქო ინჟინერიის შესავლით და გრძელდება სამოქალაქო ინჟინერიის სხვადასხვა კურსით, რომელიც მოიცავს სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის სხვადასხვა სფეროს.

შემდეგი კურსების მეშვეობით პროგრამა უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების თემატიკის დაფარვას: ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, კორპორატიული ფინანსები, ოპერაციების მენეჯმენტი, მდგრადი ორგანიზაციული განვითარება და ადამიანური კაპიტალის მართვა, მეწარმეობა, ლიდერობა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.

დამატებით, პროგრამა სთავაზობს შემდეგ კურსებს: კალკულუსი, წრფივი ალგებრა, სტატისტიკური ანალიზი, მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები.

სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტი წარმოდგენილია შემდეგი კურსებით: სამშენებლო მასალები, გეოდეზია, მექანიკა ინჟინრებისთვის, საინჟინრო გრაფიკა და CAD, მშენებლობის დიზაინი, მშენებლობის ტექნოლოგია, მშენებლობის დაგეგმვა და ხარჯთაღრიცხვა, შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის მენეჯმენტი, საკვალიფიკიო ნაშრომი - სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტი. პროგრამა მოიცავს არჩევით კურსებს ბიზნესის ადმინისტრირებიდან (18 კრედიტი): ანალიტიკური აპარატი, ფინანსები, მარკეტინგი, ბიზნესი და მეწარმეობა, და სამართალი. და 18 კრედიტი ეთმობა კურსებს სამოქალაქო ინჟინერიიდან. სულ 36 კრედიტი. გარდა ამისა, სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ 30 კრედიტი ზოგადი კომპეტენციების კომპონენტიდან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა არის 120-კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ხორციელდება ინგლისურ ენაზე და ანიჭებს "ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის" კვალიფიკაციას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. იგი შედგება 6 მირითადი კურსისგან (42 კრედიტი): ინოვაცია, სტრატეგიული მენეჯმენტი და ციფრული ტრანსფორმაცია; ბიზნეს კვლევის მეთოდები; ფინანსების მოზიდვისა და მართვის უმაღლესი სტრატეგიები: ანალიზი, გამოყენება და

სააღრიცხვო ხედვები; მარკეტინგი და სტრატეგიული კომუნიკაცია; ადამიანური რესურსების სტრატეგიული ლიდერობა: ცვლილებების მართვა, განვითარება და ორგანიზაციული სრულყოფილება; სტრატეგიული ოპერაციები და პროცესების მართვა: ხარისხის, ეფექტურობისა და მიწოდების ჯაჭვის სრულყოფა. 12 კრედიტი ეთმობა საკვალიფიკაციო ნაშრომს მდგრად ბიზნეს განვითარებაში, მეწარმეობასა და ინოვაციებში. სულ - 54 კრედიტი ძირითადი კომპონენტებისთვის. დამატებით, სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ 36 კრედიტი არჩევითი კურსების სიიდან. კვლევითი კომპონენტები წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომით (30 კრედიტი). და ბოლოს, სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ 6 თავისუფალი კრედიტი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა არის 120- კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ხორციელდება ინგლისურ ენაზე და ანიჭებს "ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრის" კვალიფიკაციას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. იგი შედგება 8 ძირითადი კურსისგან (60 კრედიტი):

"ჯანდაცვის პოლიტიკა და რეგულირება", "ბიზნესის კვლევის მეთოდები", "ჯანდაცვის ადმინისტრირება და ოპერაციების მართვა", "ჯანდაცვის სტრატეგიული და რისკის მენეჯმენტი პაციენტის უსაფრთხოების ჩათვლით", "სტრატეგიული მარკეტინგი, კრეატიულობა და ინოვაცია ჯანდაცვის ბიზნეს გარემოში", „ხარისხის გაუმჯობესება ჯანდაცვაში, ჯანდაცვის ეკონომიკასა და ფინანსებში“, „ლიდერობა და ორგანიზაციის მენეჯმენტი“. დამატებით, სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ 30 კრედიტი ბიზნესის ადმინისტრირებისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის არჩევითი კურსების სიიდან. კვლევის კომპონენტები წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომით (30 კრედიტი).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში)

ინოვაციების მენეჯმენტის აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა არის 72- კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ხორციელდება ინგლისურ ენაზე და ანიჭებს კვალიფიკაციას "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში". პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. იგი შედგება 2 ძირითადი კურსისგან (16 კრედიტი): ინოვაცია, სტრატეგიული მენეჯმენტი და ციფრული ტრანსფორმაცია, ბიზნეს კვლევის მეთოდები. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ 32 კრედიტი არჩევითი კურსების სიიდან. დამატებით, კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომით (24 კრედიტი).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა)

სადოქტორო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება" ხორციელდება ინგლისურ ენაზე და შედგება სასწავლო (60 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტისგან და ანიჭებს "ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის" კვალიფიკაციას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. იგი შედგება 9 ძირითადი კურსისგან (60 კრედიტი): სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები I, სემინარი, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები II - პროფესორის ასისტენტობა, ინოვაცია და მდგრადობა, ბიზნესის ადმინისტრირებაში თეორიის განვითარება, ლიდერობა, ეთიკა და მენეჯმენტი, განათლების სოციოლოგია, ფინანსური მენეჯმენტი და საინვესტიციო ანალიზი. კვლევითი კომპონენტი შედგება ხელმძღვანელის დახმარებით განხორციელებული კვლევისგან და სრულდება სადოქტორო ნაშრომით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების აღწერილობები და სასწავლო გეგმები
- კურსის აღწერები
- სწავლის შედეგების რუკები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები
- თვითშეფასების ანგარიში
- დაინტერესებული პირების გამოკითხვების შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <https://newvision.ge/en>

კლასტერის ზოგადი რჩევები:

სასურველია, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, პროგრამა ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად ა	ნაწილობრივ ა	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებ თან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (ბიზნესის <input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)			
პროგრამა 4 (ჯანდაცვის <input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)			
პროგრამა 5 <input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
(აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინფაციების მენეჯმენტში, საფეხური 2)			
პროგრამა 6 (ბიზნესის <input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, საფეხური 3)			

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/ საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მთლიანობაში, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამების მიზნებთან და თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება მის დასახულ სწავლის მიზნებს. თითოეული კურსისთვის მინიჭებული კრედიტები ასახავს მათ შინაარსა და შედეგებს, თუმცა სტუდენტთა დატვირთვა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ზოგიერთ კურსში ლიტერატურა უნდა განახლდეს. კურსის სილაბუსები შექმნილია უნივერსიტეტის სტანდარტიზებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად და იძლევა დეტალურ ინფორმაციას კურსის სტატუსის, ფორმატის, მიზნების, შედეგების, შინაარსის და როგორც სავალდებულო, ისე დამატებითი საკითხავი მასალების შესახებ.

სილაბუსებში მოცემული შეფასების სისტემა აჩვენებს მხოლოდ მაქსიმალურ ქულებს სხვადასხვა ტიპის გამოცდებისა და მათი კომპონენტებისთვის. თუმცა სილაბუსებში არ არის დეტალური ინფორმაცია იმის

შესახებ, თუ როგორ შეფასდებიან სტუდენტები არასრული პასუხებისთვის. სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება სწავლების სფეროს. თუმცა, ზოგიერთი ლიტერატურის გამოცემა მოძველებულია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა)

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა შედგება სავალდებულო კურსების, კონცენტრაციების კურსების, ასევე პროგრამის არჩევითი და უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი არჩევითი კურსებისგან. ინფორმაცია ამ კურსების შესახებ დეტალურადაა მოცემული კურსის სილაბუსებში, რომლებიც მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს: სასწავლო მიზნები, სწავლის შედეგები, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების განაწილება, შეფასების მეთოდები, სწავლების მეთოდები და კურსის შინაარსი ლიტერატურის მითითებით.

მთლიანობაში, ძირითადი კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სასწავლო მიზნებს, და თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება მის განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის მოცულობაა 6 კრედიტი. საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების განაწილება დაბალანსებულია. თითოეული სწავლის შედეგი ფასდება განსაზღვრული შეფასების სისტემის მიხედვით, და სილაბუსი მოიცავს სავალდებულო ლიტერატურას, რომელიც ხელს უწყობს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას.

ზოგიერთი კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურა მოძველებულია (მაგ. კორპორატიული ფინანსების ლიტერატურა 2008 წლის გამოცემა, კორპორატიული ფინანსები და ანალიზის ლიტერატურა არის 2007 წლის გამოცემა, მაკროეკონომიკა - 2005, და ა.შ.)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა)

სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა შედგება სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსებისგან. ინფორმაცია ამ კურსების შესახებ დეტალურადაა მოცემული კურსის სილაბუსებში, რომლებიც მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს: სასწავლო მიზნები, სწავლის შედეგები, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების განაწილება, შეფასების მეთოდები, სწავლების მეთოდები და კურსის შინაარსი ლიტერატურის მითითებით.

მთლიანობაში, ძირითადი კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სასწავლო მიზნებს, და თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება მის განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის მოცულობაა 6 კრედიტი, გარდა ორი 12 კრედიტიანი კურსისა ("მეწარმეობა, ლიდერობა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა" და "საკვალიფიკაციო ნაშრომი - სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტი"). საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების განაწილება დაბალანსებულია. თითოეული სწავლის შედეგი ფასდება განსაზღვრული შეფასების სისტემის მიხედვით, და სილაბუსი მოიცავს სავალდებულო ლიტერატურას, რომელიც ხელს უწყობს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო კურსებს და კვლევით კომპონენტს, რომელიც სრულდება სადოქტორო ნაშრომით. ინფორმაცია ამ კურსების შესახებ დეტალურადაა მოცემული კურსის სილაბუსებში, რომლებიც მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს: სასწავლო მიზნები, სწავლის შედეგები, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების განაწილება, შეფასების მეთოდები, სწავლების მეთოდები და კურსის შინაარსი ლიტერატურის მითითებით.

ინფორმაცია ნაშრომის მოთხოვნებისა და დოქტორანტების კვლევის ხელმძღვანელობის შესახებ მოცემულია შემდეგ დოკუმენტებში: „სადისერტაციო ნაშრომის მოთხოვნები“, „ნიუ ვიუნ უნივერსიტეტის დებულება საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესახებ“, „აკადემიური წერის სტანდარტები“, „2020 წლის განცხადება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან და დოქტორანტების ხელმძღვანელ(ებ)თან დაკავშირებით“.

მთლიანობაში, ძირითადი კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სასწავლო მიზნებს, და თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება მის განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის მოცულობა მერყეობს 7- დან 15 კრედიტამდე. საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების განაწილება დაბალანსებულია. თითოეული სწავლის შედეგი ფასდება განსაზღვრული შეფასების სისტემის მიხედვით, და სილაბუსი მოიცავს სავალდებულო ლიტერატურას, რომელიც ხელს უწყობს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების აღწერილობები და სასწავლო გეგმები
- კურსის სილაბუსები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები
- სწავლის შედეგების რუკები და წინაპირობების ცხრილები
- დისერტაციისთვის მოქმედი მოთხოვნები
- ნიუ ვიუნ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება
- აკადემიური წერის სტანდარტები
- 2020 წლის განცხადება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან და დოქტორანტების ხელმძღვანელ(ებ)თან დაკავშირებით

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია სილაბუსები უფრო დეტალურ ინფორმაციას შეიცავდეს სხვადასხვა ტიპის გამოცდებზე სტუდენტების შეფასების შესახებ. სილაბუსებში მოცემული შეფასების სისტემა აჩვენებს მხოლოდ მაქსიმალურ ქულებს სხვადასხვა ტიპის გამოცდებისა და მათი კომპონენტებისთვის. თუმცა სილაბუსებში არ არის დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეფასდებიან სტუდენტები არასრული პასუხებისთვის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: პროგრამა 1

(ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)

რჩევები:

- სასურველია რამდენიმე კურსის ღიტერატურის განახლება: კორპორატიული ფინანსები, კორპორატიული ფინანსები და ანალიზი, მაკროეკონომიკა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში, საფეხური 2)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, საფეხური 3)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (დასახელება, დოწე)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (დასახელება, დოწე)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (დასახელება, დოწე)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (დასახელება, დოწე)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (დასახელება, დოწე)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (დასახელება, დოწე)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული აკრედიტაციისთვის წარდგენილ პროგრამებზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები მირითადად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. გარდა ამისა, ისინი ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შედეგებს, საგანმანათლებლო შინაარსს, დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი პროგრამის სპეციფიკას. კერძოდ, პროგრამის რეგულაციების თანახმად, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა განისაზღვრება პროგრამის საგნობრივი სფეროს მიხედვით. ასევე განსაზღვრულია ლექციების, სემინარებისა და ლაბორატორიული მეცადინეობების დატვირთვის კრიტერიუმები. მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასწავლო პროგრამის სტაბილურობასა და ხარისხის უზრუნველყოფას. თუმცა, ახალ პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობები უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რათა ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ზიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა)

აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამები) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ ნ ბრძანების, ასევე ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე. სტუდენტებისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის ტესტის ჩაბარება.

პროგრამა მოითხოვს აბიტურიენტების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას. გამოცდების

გარეშე ჩარიცხვა რეგულირდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური წესით. პროგრამა უზრუნველყოფს, რომ მისი კურსდამთავრებულები ფლობენ ინგლისურ ენას საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონეზე. უნივერსიტეტი გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას ინგლისური ენის ალტერნატიული დონეების გამიჯვნის შესახებ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა) აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამები) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების, ასევე ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე. სტუდენტებისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის ტესტის ჩაბარება.

გამოცდების გარეშე ჩარიცხვა რეგულირდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური წესით. პროგრამა უზრუნველყოფს, რომ მისი კურსდამთავრებულები ფლობენ ინგლისურ ენას საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონეზე. უნივერსიტეტი გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას ინგლისური ენის ალტერნატიული დონეების გამიჯვნის შესახებ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა)

უნივერსიტეტი მიუთითებს პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ წესებს: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ. საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად (განახლებულია 2024 წელს).

უსდ მოითხოვს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე, რაც შეიძლება დადასტურდეს ინგლისურ ენაში შიდა გამოცდის ჩაბარებით ან ქვემოთ ჩამოთვლილი ქულების მქონე სერტიფიკატების წარდგენით:

- EF SET 61 - 70
- IELTS 6.5 - 7.5
- TOEIC (R&L) Total 945 - 990
- Cambridge English Scale 180 - 199
- TOEFL iBT 95 - 120
- Global Scale of English (Pearson) 76 - 84

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა)

უნივერსიტეტი მიუთითებს პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ წესებს: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ. საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად (განახლებულია 2024 წელს).

უსდ მოითხოვს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე, რაც შეიძლება დადასტურდეს ინგლისურ ენაში შიდა გამოცდის ჩაბარებით ან ქვემოთ ჩამოთვლილი ქულების მქონე სერტიფიკატების წარდგენით:

- EF SET 61 - 70
- IELTS 6.5 - 7.5
- TOEIC (R&L) Total 945 - 990
- Cambridge English Scale 180 - 199
- TOEFL iBT 95 - 120
- Global Scale of English (Pearson) 76 - 84

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში)

უნივერსიტეტი მიუთითებს პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ წესებს: სამაგისტრო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და გააჩნია მენეჯერის ან ლიდერის პოზიციაზე მუშაობის სულ მცირე 3 წლიანი პროფესიული გამოცდილება. აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღება ანდიდატი, რომელიც ჩაბარებს წერილობით ტესტს ინგლისურ ენაში და გაივლის ზეპირ გასაუბრებას მიმღებ კომისიასთან.

უსდ მოითხოვს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე, რაც შეიძლება დადასტურდეს ინგლისურ ენაში შიდა გამოცდის ჩაბარებით ან ქვემოთ ჩამოთვლილი ქულების მქონე სერტიფიკატების წარდგენით:

- EF SET 61 - 70
- IELTS 6.5 - 7.5
- TOEIC (R&L) Total 945 - 990
- Cambridge English Scale 180 - 199
- TOEFL iBT 95 - 120
- Global Scale of English (Pearson) 76 – 84

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა)

პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერი მიმართულებით. კანდიდატებმა უნდა დაწერონ "პირადი განაცხადი - კვლევითი იდეის მონახაზი". მიღების წინაპირობები ასევე მოიცავს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნას (შესაბამისი სერტიფიკატის წარდგენა ან საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება). დამატებით, შერჩევის შემთხვევაში, კანდიდატებმა უნდა გაიარონ გასაუბრება მიმღებ კომისიასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების აღწერილობები და სასწავლო გეგმები
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები
- ნიუ ვიუენ უნივერსიტეტის ვებ გვერდი

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, ახალ პროგრამებზე დაშვების ყველა წინაპირობა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციას ხელმისაწვდომობას პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში)

რეკომენდაცები:

- რეკომენდებულია შეიცვალოს პროგრამაზე „აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში“ მიღების წესი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს #72/6 (2024 წლის 28 თებერვალი) ბრძანების შესაბამისად, რომელიც მიუთითებს 5-წლიან პროფესიულ გამოცდილებაზე მენეჯმენტის/ადმინისტრირების სფეროში.

შეფასება

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებ თან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში, საფეხური 2)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები უმეტესწილად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ასევე გარკვეულწილად მათი სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებასაც. ეს უნარები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. ზოგადად, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იყენებს პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას და მოუწოდებს აკადემიურ პერსონალს გამოიყენონ მიდგომა "სწავლა კეთებით". მათი თქმით, კურსები მოიცავს ისეთ ინტერაქტიულ მეთოდოლოგიებს, როგორიცაა გეიმიფიკაცია, ჯგუფური მუშაობა, შებრუნებული საკლასო ოთახი და ქეისებზე დაფუძნებული სწავლება. თუმცა, აღინიშნება შეუსაბამობები უნივერსიტეტის სასურველ პრაქტიკულ მიდგომასა და სტუდენტების აღქმას შორის, რადგან ბევრი სტუდენტი გამოხატავს დამატებითი რეალური ქეისების, სტაჟირებებისა და საველე ვიზიტების საჭიროებას. მაშინ როცა ფაკულტეტი აღნიშნავს პრაქტიკული ქეისების გამოყენებას, სტუდენტები მიუთითებენ, რომ ეს ქეისები ზოგჯერ შეზღუდული ან ჰიპოთეტურია და მოკლებულია პრაქტიკულ გამოყენებას.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პერსონალი ჩართულია პროფესიულ განვითარებაში, უტარდებათ ტრენინგები სწავლების მეთოდებისა და კურსის შინაარსის განახლების შესახებ, თუმცა შეინიშნება განსხვავებები იმაში, თუ რამდენად იყენებს პერსონალი ამ ტრენინგებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი სთავაზობს თავის პერსონალს ტრენინგებს ხელმძღვანელობის შესახებ, რომელიც მოიცავს ახლახანს მიღებულ APA-ს სახელმძღვანელო პრინციპებს სადიპლომონ ნაშრომებისთვის. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სადიპლომო ნაშრომში მაინც შეინიშნება ხარვეზები, მეთოდოლოგიური ჩარჩოები ან კვლევის მეთოდები არათანმიმდევრულად გამოიყენება, რაც ბადებს კითხვებს როგორც პერსონალის, ისე სტუდენტების კვლევითი მომზადების ეფექტურობის შესახებ. მაგალითად, სამედიცინო ფაკულტეტის არასათანადო მომზადება სოციალური მეცნიერებების კვლევის ხელმძღვანელობისთვის ხაზს უსამს უნივერსიტეტის კვლევითი ხელმძღვანელობის პოტენციური განვითარების საჭიროებას.

ძირითადი კვლევითი უნარების განვითარება არათანმიმდევრული ჩანს, რადგან პირველი და მეორე კურსის სტუდენტებს, ისევე როგორც ზოგიერთ კურსდამთავრებულს, უჭირთ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გაგება ან იდენტიფიცირება. სტუდენტებს ასევე სურთ უფრო მკაფიო ინფორმაცია დავალებების შეფასების კრიტერიუმების შესახებ და ითხოვენ შეფასების უფრო გამჭვირვალე რუბრიკებს, რომ გაარკვიონ მიღებული ქულების საფუძველი. გარდა ამისა, ხელოვნური

ინტელექტის გამოყენება დავალებებში არ არის ერთგვაროვნად მოწესრიგებული დეპარტამენტებს შორის, რაც იწვევს არათანმიმდევრულ აღსრულებას და დროებით/სიტუაციურ ზომებზე დაყრდნობას.

უკუკავშირის მექანიზმები უნივერსიტეტში კარგად არის მიღებული, ადმინისტრაცია რეგულარულად მართავს კონსულტაციებს მოწვეულ ლექტორებთან სწავლების მეთოდებზე და აგროვებს სტუდენტების უკუკავშირს კურსის ხარისხზე. თუმცა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა კურიკულუმის განვითარებაში უნდა გაუმჯობესდეს, რადგან გარე დაინტერესებული მხარეები აღნიშნავენ შეზღუდულ ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების ან შედეგების დადგენის პროცესებში, მიუხედავად იმისა, რომ, უნივერსიტეტის განცხადებით, იგი ღიაა გარე პირების მიერ შემოტანილი წვლილის მიმართ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების დანერგვას, როგორიცაა ქეისებზე დაფუძნებული სწავლება, პროექტებზე მუშაობა და პრეზენტაციები. ფაკულტეტი ხაზს უსვამს "კეთებით სწავლის" მიდგომას კრიტიკული აზროვნების, მონაცემთა ანალიზისა და ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარების განვითარებისთვის, რაც შეესაბამება მიზანს მოამზადოს სტუდენტები მრავალფეროვანი ბიზნეს გარემოსთვის. თუმცა, სტუდენტების უკუკავშირი ავლენს განსხვავებას პროგრამის მიზნებსა და რეალურ გამოცდილებას შორის. ბევრი სტუდენტი თვლის, რომ პრაქტიკული ქეისები ხშირად ჰიპოთეტურია, შეზღუდულია რეალურ სამყაროში გამოყენების ისეთი შესაძლებლობები, როგორიცაა საველე სამუშაოები ან სტაჟირება. დარგთან პირდაპირი კავშირის ამ ნაკლებობამ შეიძლება შეზღუდოს სტუდენტების შესაძლებლობა გაიაზრონ თეორიული ცოდნა რეალურ ბიზნეს გარემოში. შედარებისთვის, მსოფლიოს მასშტაბით ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებში ხშირად გაერთანებულია სავალდებულო სტაჟირებება ან პარტნიორობა ბიზნესებთან, რაც ეხმარება მათ გამოყენებითი უნარების შეძენაში ჯერ კიდევ სწავლის განმავლობაში. გარდა ამისა, როგორც სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა გამოხატეს მეტი კვლევითი უნარების (მაგ. მონაცემთა ანალიზი, რაოდენობრივი ანალიზი და ა.შ.) განვითარების საჭიროება.

2. სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა

სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა აერთიანებს სამოქალაქო ინჟინერიის საფუძვლებს ბიზნესის მენეჯმენტთან, რაც მიზნად ისახავს სტუდენტების მომზადებას სამშენებლო სექტორისთვის. პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებლად, ეს პროგრამა იყენებს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებასა და საკვანძო პროექტებს. მიუხედავად ამისა, მსგავსი პროგრამების სტუდენტებმა აღნიშნეს დარგთან შეზღუდული კონტაქტი საველე ვიზიტების, სტაჟირებების ან კონკრეტულ სექტორთან (ამ პროგრამის შემთხვევაში - სამშენებლო სექტორთან) პირდაპირი ურთიერთობის თვალსაზრისით. საერთაშორისო დონეზე მსგავსი ტიპის პროგრამები ხშირად მოიცავს სავალდებულო საველე პრაქტიკას, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, რომელიც დაკავშირებულია რეალურ სამშენებლო გამოწვევებთან, ან პირდაპირ ჩართულობას სამშენებლო კომპანიებთან. გარდა ამისა, რეალურ პროექტებში გამლიერებული ჩართულობა უფრო მეტად შესძენდა სტუდენტებს საჭირო ტექნიკურ და მენეჯერულ უნარებს, რაც დამთავრების შემდეგ თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიაში ნავიგაციის საშუალებას მისცემს.

3. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ახლახანს განახლდა ახალი სილაბუსებით, დაემატა ახალი სწავლების მეთოდები და მეტი აქცენტი გაკეთდა პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაზე, ქეისების ანალიზსა და ლიდერობის განვითარებაზე. ეს მეთოდები მიზნად ისახავს ანალიტიკური, გადაწყვეტილების მიღებისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. თუმცა, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირი მიუთითებს, რომ პროგრამამ უნდა გააძლიეროს კვლევის სწავლება, განსაკუთრებით რაოდენობრივ მეთოდებში, რომლებიც გადაწყვეტია სტრატეგიული ბიზნეს ანალიზისა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის. გლობალურად კონკურენტული ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამების უმრავლესობა გვთავაზობს სტრუქტურირებულ, სილრმისულ სასწავლო კურსებს რაოდენობრივ უნარებსა და მონაცემთა ანალიტიკაში, ასევე რეალურ ბიზნეს პროექტებში პრაქტიკულ გამოყენებას. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა შეიძლება გაუმჯობესდეს, თუ დანერგავს რაოდენობრივი კვლევის მოთხოვნებისადმი უფრო ფორმალიზებულ მიდგომას და უზრუნველყოფს სტუდენტებს მონაცემებზე დაფუძნებული ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში გამოყენების შესაძლებლობით. გარდა ამისა, სტუდენტების აზრით, კვლევითი და პრაქტიკული უნარების შეფასებაში მეტი სიცხადე და თანმიმდევრულობა საჭირო, რაც შეიძლება გადაიჭრას უფრო გამჭვირვალე შეფასების რუბრიკებისა და რაოდენობრივ საკურსო ნაშრომზე დეტალური უკუკავშირის დანერგვით. ეს მიდგომა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანდა და კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს სტუდენტების პროფესიულ განვითარებას.

4. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სიმულაციებს, ქეისების შესწავლას და საკურსო ნაშრომს ჯანდაცვის პოლიტიკასა და ეთიკაში, რაც მიზნად ისახავს აღჭურვოს სტუდენტები ჯანდაცვის მენეჯმენტის საფუძვლებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდები შესაფერისია ამ სფეროსთვის, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ პროგრამას აკლია სტრუქტურირებული და მკაფიოდ შეფასებული კვლევითი კომპონენტები. საერთაშორისო დონეზე, ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამები ხშირად მოიცავს საკურსო ნაშრომს კვლევის მეთოდოლოგიებში, რაც სტუდენტებში ავითარებს ჯანდაცვის მონაცემების ზუსტი ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარებს. პროგრამის სასიკეთოდ იქნება, თუ კი იგი გააძლიერებს კვლევის სწავლების კომპონენტს, მაგალითად, დაამატებს კვლევის მეთოდების სპეციალურ კურსებს და დანერგავს კვლევაზე დაფუძნებული პროექტების შეფასების უფრო მკაფიო კრიტერიუმებს. გარდა ამისა, ზოგიერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტი არ არის სათანადო მზად იმისთვის, რომ უხელმძღვანელოს ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციფიკურ კვლევით პროექტებს. უნივერსიტეტს შეუძლია ამ ხარვეზის აღმოფხვრა, თუ ფაკულტეტს შესთავაზებს სპეციალიზებულ ტრენინგებს ჯანდაცვის სპეციფიკური კვლევის ხელმძღვანელობის შესახებ, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტები დარგის შესაბამის კვლევით გამოცდილებას მიიღებნ.

5. აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში შექმნილია კარიერის შუა ეტაპზე მყოფი პროფესიონალებისთვის და იყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, მათ შორის სიმულაციებს, სტუდენტზე ორიენტირებულ

სწავლებას და ჯგუფურ პროექტებს, რაც ლიდერობისა და ცელილებების მართვის უნარებს ავითარებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექნიკა ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებასა და ლიდერობას, ზოგიერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ პროგრამა უკეთესი გახდება, თუ უფრო მჭიდრო კავშირი ექნება რეალურ ბიზნეს გამოწვევებთან, როგორიცაა პრაქტიკული საკონსულტაციო პროექტები ან პარტნიორობა ადგილობრივ კომპანიებთან. ზოგიერთი პროფესორი იყენებს რეალურ ქეისებს, მაგრამ ეს არ არის ისეთი გავრცელებული, როგორც შეიძლება იყოს. გარდა ამისა, უკუკავშირის მიხედვით, მართალია სწავლების მეთოდები კარგია, პროგრამა უფრო აქტუალური გახდება ადგილობრივი ინდუსტრიის პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების დამატებით და უკეთ მოამზადებს კურსდამთავრებულებს თავიანთ ორგანიზაციებში ლიდერის პოზიციებისთვის.

6. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

ნიუ ვიუენ უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა მოითხოვს დოქტორანტებისგან პუბლიკაციებს მაღალი რეპუტაციის მქონე ჟურნალებში, რაც შესაბამება საერთაშორისო კვლევის სტანდარტებს. თუმცა, სტუდენტები აღნიშნავენ როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდების სტრუქტურირებული ტრენინგების ნაკლებობას, ხოლო ეს უაღრესად მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის ბიზნეს კვლევის წარმოებისთვის. ამ შეზღუდვამ შეიძლება შეაფეროს სტუდენტების მიერ ყოვლისმომცველი, მეთოდოლოგიურად გამართული კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების უნარი. გლობალურად, სადოქტორო პროგრამების სავალდებულო კომპონენტს ჩვეულებრივ წარმოადგენს საკურსო ნაშრომი ან ვორქშოპები კვლევის მეთოდებში, რაც ხელს უწყობს დოქტორანტების მყარი, ტრანსფერული კვლევითი უნარების განვითარებას. გარდა ამისა, აღინიშნა ხელმძღვანელების მხრიდან მხარდაჭერის განსხვავებული დონე, განსაკუთრებით იმათი მხრიდან, ვინც ბიზნესის სფეროს არ უკავშრდება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კვლევის ხარისხსა და მიმართულებაზე. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის სპეციალიზებული ვორქშოპები გააძლიერებდა სტუდენტების მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

შეჯამების სახით, ნიუ ვიუენ უნივერსიტეტის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები ორიენტირებულია პრაქტიკული, სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, თუმცა მისთვის უკეთესი იქნება, თუ მეტ შესაბამისობაში მოვა პრაქტიკულ, სტრუქტურირებულ შესაძლებლობებთან, რომლებიც ჩვეულებრივ გვხვდება მსგავს პროგრამებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების აღწერილობები და სასწავლო გეგმები
- კურსის სილაბუსები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები
- სწავლის შედეგების რუკები და წინაპირობების ცხრილები
- დისერტაციისთვის მოქმედი მოთხოვნები
- ნიუ ვიუენ უნივერსიტეტის რეგულაცია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ჩატარების შესახებ
- აკადემიური წერის სტანდარტები
- 2020 წლის განცხადება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან და დოქტორანტების ხელმძღვანელ(ებ)თან დაკავშირებით
- თვითშეფასების ანგარიში;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კვლევის მეთოდების სწავლების თანმიმდევრული, სტრუქტურირებული მიდგომის დანერგვა ყველა პროგრამაში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებში მიერ როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის კომპეტენციების განვითარებას.
- რეკომენდებულია აკადემიურ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების მკაფიო, მთელი სკოლის მასშტაბით მოქმედი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, რათა სტუდენტებსა და ფაკულტეტს ჰქონდეთ თანმიმდევრული გაგება მისი ეთიკური და ეფექტური გამოყენების შესახებ.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია ბიზნეს პარტნიორობის შემდგომი გაძლიერება და მეტი პარტნიორული ურთიერთობების განვითარება ბიზნესებთან და ორგანიზაციებთან, როგორც ნიუ ვიუენ უნივერსიტეტის პირდაპირ პარტნიორებთან, ისე ე.წ. გარე სამყაროსთან, რაც სტუდენტებს უზრუნველყოფს რეალური ქეისებით და საკვანძო პროექტებით, რომლებშიც აისახება დარგის რეალური გამოწვევები.
- სასურველია, რომ ყველა პროგრამა მოიცავდეს საველე გასვლებსა და შემთხვევების შესწავლას, და არა მხოლოდ რამდენიმე იშვიათ შემთხვევას მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში.
- სასურველია მეტი დაინტერესებული მხარის ჩართვა კურიკულუმის განვითარების პროცესებში, რაც გამოიხატება მათი პირდაპირი მონაწილეობით შედეგების დადგენაში, კურსის დიზაინსა და უკუკავშირის განხილვაში.
- სასურველია შეიქმნას სწავლების მეთოდების ცენტრალიზებული რესურსი - ე.წ. სასწავლო რესურსების საცავი სწავლების ინოვაციებისა და მეთოდების შესახებ, როგორიცაა შებრუნებული საკლასო ოთახები (flipped classrooms), თამაშის ელემენტების გამოყენება სწავლაში ე.წ. გემიფიკაცია (gamification) და ა.შ. , რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა ფაკულტეტისთვის.
- სასურველია სტანდარტიზებული შეფასების რუბრიკის შაბლონის შემუშავება ყველა კურსისთვის, შეფასების კონკრეტული კრიტერიუმებისა და ქვე-კრიტერიუმების დეტალური აღწერით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამულად:

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო გეგმაში რაოდენობრივი კვლევის კომპონენტების ფორმალიზება, რათა გაძლიერდეს სტუდენტების ანალიტიკური უნარები ბიზნესის კონტექსტში.

რჩევები:

- სასურველია საკურსო ნაშრომში გაიზარდოს დარგზე დაფუძნებული ქეისების რაოდენობა, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს იმუშაონ უფრო რეალისტურ ბიზნეს სცენარებზე.
- სასურველია დარგობრივ უნარებზე არჩევითი სემინარების შეთავაზება, როგორიცაა ფინანსური მოდელირება, მონაცემთა ვიზუალიზაცია და ბაზრის ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების კონკრეტულ ინტერესებს.

2. სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო

რჩევები:

- სასურველია სამშენებლო კომპანიებთან პარტნიორობის განვითარება სტრუქტურირებული სტაჟირების შეთავაზების მიზნით, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ საინჟინრო და მენეჯერული უნარები რეალურ სამშენებლო გარემოში.
- სასურველია რეგულარული საველე გასვლების ორგანიზება სამშენებლო ობიექტებში ან საინჟინრო კომპანიებში, რაც გააღრმავებს სტუდენტების მიერ ინდუსტრიული პრაქტიკის გაგებას.

3. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მონაცემთა ანალიტიკის სავალდებულო მოდულის დაწერგვა, რომელიც ფოკუსირებული იქნება რაოდენობრივ ბიზნეს უნარებზე, რაც აღმოფხვრის ხარვეზს სტუდენტების კვლევით მომზადებაში და მოამზადებს მათ სტრატეგიული ბიზნეს ანალიზისთვის.

რჩევები:

- სასურველია კვლევის შეფასების კრიტერიუმების მეტი თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა ყველა სამაგისტრო კურსზე სტანდარტიზებული სახელმძღვანელო პრინციპების დაწერგვით.
- სასურველია სპეციალიზებული არჩევითი კურსების შეთავაზება ისეთ მოთხოვნად სფეროებში, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, ბიზნეს ინოვაციები ან საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგია, რაც გაზრდის სტუდენტების კარიერულ არჩევანს.
- სასურველია ადგილობრივ ბიზნესებთან მეტი თანამშრომლობა პროგრამაში საკონსულტაციო პროექტების ინტეგრირებისთვის, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს იმუშაონ რეალურ ბიზნეს ქეისებზე.

4. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო

რჩევები:

- სასურველია ჯანდაცვის სფეროსთვის სპეციფიკური სტრუქტურირებული კვლევის მეთოდების კურსის შემოღება, რომელიც ხაზს გაუსვამს ჯანდაცვის მონაცემთა ანალიზისთვის როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ მეთოდებს.
- სასურველია უნივერსიტეტმა წაახალისოს ფაკულტეტის წევრები გაიარონ ტრენინგები სოციალური მეცნიერებებისთვის სპეციფიკური კვლევის ხელმძღვანელობის შესახებ, რაც გააძლიერებს სტუდენტთა კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას მენეჯმენტში.

5. აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში

რჩევები:

- სასურველია სავალდებულო, რეალურ გარემოში განხორციელებული საკონსულტაციო პროექტის შემოღება, სადაც სტუდენტები უშუალოდ ადგილობრივ ბიზნესებთან იმუშავებენ ინოვაციური გამოწვევების გადასაჭრელად.
- სასურველია მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე ტექნიკებზე აქცენტის გაძლიერება, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სტრატეგიული ხელმძღვანელობის პოზიციებისთვის.
- სასურველია გაფართოვდეს სტუდენტებისთვის ინდუსტრიული სერტიფიცირების შესაძლებლობები, როგორიცაა პროექტების მართვა ან მოქნილი მეთოდოლოგიები, რაც შეავსებს მათ სწავლებას ინოვაციების მართვაში.

6. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სავალდებულო, სტრუქტურირებული სწავლების დანერგვა როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ კვლევის მეთოდებში, რათა დოქტორანტები სათანადოდ მოემზადონ მაღალი ხარისხის კვლევებისთვის.
- რეკომენდებულია, სადოქტორო ნაშრომის ყველა ხელმძღვანელი აღჭურვილი იყოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში კვლევისთვის საჭირო ცოდნითა და გამოცდილებით (სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები), რაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დონის ხელმძღვანელობის გარანტია.

რჩევები:

- სასურველია დოქტორანტებს ჰქონდეთ დამატებითი მხარდაჭერა პუბლიკაციების გამოქვეყნების პროცესში, მათ შორის - სემინარები მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებისთვის და რეცენზირების უკუკავშირის მართვაში.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი / შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა ნ	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან მოთხოვნებთან
--	--	--	---	---

პროგრამა 1 (ბიზნესის
ადმინისტრირების საბაკალავრო
პროგრამა, საფეხური 1)

<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ონლაინების მენეჯმენტში, საფეხური 2) პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, საფეხური 3)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3.

სწავლება-სწავლის

მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღნიშნულ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები ძირითადად ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს და უმეტესწილად სწავლის შედეგებსაც. ზოგადად, უნივერსიტეტის სწავლება- წავლის მეთოდები ბიზნესის კლასტერში ხაზს უსვამს "სწავლას კეთებით", ფილოსოფიას, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის პრაქტიკული ცოდნის მიწოდებას. არა ხშირად, მაგრამ ზოგჯერ გამოყენებული

მეთოდები მოიცავს ინტერაქტიულ მიდგომებს, როგორიცაა ბიზნეს სიმულაციები, შებრუნებული საკლასო ოთახი და სტუდენტების მიერ წარმართული სესიები. უნივერსიტეტის ფაკულტეტი ასევე იყენებს მეთოდებს, რომლებიც მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი ტრანსფერული უნარების განვითარებას, მათ შორის კრიტიკული აზროვნების, რეალობის შეფასების და პრეზენტაციის უნარებს. სწავლების ეს

სტრატეგიები ეფუძნება უნივერსიტეტის მიზანს, განავითაროს როგორც პრაქტიკული კომპეტენციები, ისე აკადემიური ავტონომია სტუდენტებში.

თუმცა, სტუდენტების უკუკავშირი მიუთითებს ამ მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებაში გარკვეულ ხარვეზებზე. მაგალითად, მაშინ როცა ფაკულტეტი ხაზგასმით აღწერს პრაქტიკულ შემთხვევებზე აქცენტს, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ბევრი ასეთი შემთხვევა ჰქონის მატერიალურია, რეალურ სამყაროსთან შეხების შესაძლებლობები, მაგალითად, საველე ვიზიტები ან სტაჟირება - შეზღუდულია. გარდა ამისა, არათანმიმდევრულად ტარდება ფაკულტეტის წევრებისთვის ტრენინგები თანამედროვე სწავლების მეთოდებში, ზოგიერთი სრულყოფილად არ იცნობს ახალ პედაგოგიურ პრაქტიკას. დამატებით გამოწვევას წარმოადგენს მეცადინეობაზე ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მკაფიო პოლიტიკის არარსებობა, რაც განსხვავებულ გამოყენებას და გარკვეულ გაუგებრობას იწვევს. მეთოდების ეფექტიანობის გასაძლიერებლად, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა უნდა მოახდინოს ფაკულტეტის ტრენინგების სტანდარტიზება, დაადგინოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უფრო მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპები და ხელი შეუწყოს დარგთან უფრო მჭიდრო კავშირებს ემპირიული სწავლებისთვის.

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა იყენებს ისეთ სასწავლო სტრატეგიებს, როგორიცაა ქეისებზე დაფუძნებული სწავლება, პროექტებზე მუშაობა და სიმულაციები თეორიისა და პრაქტიკის დასაკავშირებლად. ამ ინტერაქტიული მიდგომების მეშვეობით, ფაკულტეტი მიზნად ისახავს სხვადასხვა უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება და მონაცემთა ანალიზი. სტუდენტები ასევე ეცნობიან მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის საკითხებს ინტერპერსონალური და კომუნიკაციური სავარჯიშოების მეშვეობით. თუმცა, სტუდენტებმა აღნიშნეს რეალური ბიზნეს ქეისებისა და ინდუსტრიასთან ინტეგრაციის ნაკლებობა, რაც ზღუდავს მათ გაგებას რეალური ბიზნეს გარემოს შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა პრაქტიკაზე არიენტირებული, მისი გაუმჯობესება შესაძლებელია ბიზნესებთან პარტნიორობის ფორმალიზებით, რაც მეტ რეალურ შემთხვევებს ან საკონსულტაციო პროექტებს უზრუნველყოფს.

2. სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა აურთიანებს ბიზნესის პრინციპებს და სამოქალაქო ინჟინერიას, ამზადებს სტუდენტებს სამშენებლო ინდუსტრიისთვის პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებისა და პროექტებზე მუშაობის გზით. პროგრამა ხაზს უსვამს ისეთ უნარებს, როგორიცაა პროექტების დაგეგმვა და სტრატეგიული კომუნიკაცია, სადაც პერსონალი სიმულაციებსა და ჯგუფურ მუშაობას იყენებს. თუმცა, სტუდენტებმა აღნიშნეს რეალურ ვიზიტებისა და მშენებლობასთან დაკავშირებული სპეციფიკური პროექტების ნაკლებობა. მსგავსი პროგრამები მსოფლიოს მასშტაბით ხშირად მოიცავს სავალდებულო სტაჟირებას ან სამუშაო პრაქტიკას,

რომელიც სტუდენტებს დარგში პრაქტიკულ გამოცდილებას სთავაზობს. გარდა ამისა, სტუდენტებმა აღნიშნეს შეფასების უფრო მკაფიო კრიტერიუმების საჭიროება, განსაკუთრებით ჯგუფურ პროექტებში, რის შედეგედაც ისინი უკეთ გაიგებენ რისი გაკეთება ევალებათ.

3. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორიცაა შემთხვევების (ქეისების) შესწავლა, პროექტები და კოლაბორაციული სწავლება, რომელიც მიზნად ისახავს ლიდერობის, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიტიკური უნარების განვითარებას. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პერსონალი ხაზს უსვამს თანამედროვე ტენდენციებს და "სწავლას კეთებით", და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია პროექტებზე დაფუძნებული სწავლების კომპონენტები. თუმცა, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ არასაკმარისი ყურადღება ეთმობა რაოდენობრივი კვლევის უნარებს, რომლებიც გადამწყვეტია სტრატეგიული ბიზნეს ანალიზისა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებისთვის მენეჯერულ პოზიციებზე. გარდა ამისა, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა პრაქტიკული დავალებების შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობა. საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამები ჩვეულებრივ უზრუნველყოფენ საფუძვლიან ტრენინგს რაოდენობრივ უნარებში. უნივერსიტეტში ამ სფეროების გაძლიერება პროგრამას უფრო მეტად დააახლოებს გლობალურ სტანდარტებთან.

4. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა იყენებს სიმულაციებს, შემთხვევების შესწავლას და ჯგუფურ პროექტებს ჯანდაცვის ადმინისტრირებისთვის სპეციფიკური ლიდერობისა და ანალიტიკური უნარების განსავითარებლად. ამ ინტერაქტიული მეთოდების მეშვეობით, სტუდენტები ეცნოებიან ჯანდაცვის პოლიტიკას, მენეჯმენტსა და ეთიკას. თუმცა, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირი მიუთითებს, რომ პროგრამას სარგებელს მოუტანდა უფრო სტრუქტურირებული კვლევითი კომპონენტები, განსაკუთრებით რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებში, რომლებიც აუცილებელია ჯანდაცვაში პოლიტიკისა და მონაცემთა ანალიზისთვის. მაშინ როცა მსოფლიოს ზოგიერთი ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამა სპეციალიზებულ კვლევის სწავლებას მოიცავს, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს შეუძლია გააუმჯობესოს ეს პროგრამა სპეციალური კვლევის მეთოდების კურსის ფორმალიზებით. გარდა ამისა, პერსონალის გადამზადება ჯანდაცვისთვის სპეციფიკური კვლევის ხელმძღვანელობაში უზრუნველყოფს სტუდენტური პროექტების თანმიმდევრულ ხელმძღვანელობას.

5. აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ადმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში შექმნილია შუა რეოლის კარიერის პროფესიონალებისთვის და იყენებს თანამედროვე სწავლების მეთოდებს, მათ შორის სტუდენტების მიერ წარმართულ სწავლებას და სიმულაციებს, რაც ხელს უწყობს ინოვაციებისა და ლიდერობის უნარების განვითარებას. სწავლების პროცესში ფაკულტეტის წევრები რთავენ ლიდერობისა და ცვლილებების მართვის თემებს, ინტერაქტიული სწავლების ელემენტებით. თუმცა, სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ პროგრამისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა დარგის პრობლემებთან პირდაპირი, რეალური ჩართულობა, როგორიცაა საკონსულტაციო პროექტები ადგილობრივ ბიზნესებთან.

6. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

სადოქტორო პროგრამა ხაზს უსვამს მკაცრ კვლევით სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც დოქტორანტებმა უნდა გამოაქვეყნონ ნაშრომები რეცენზირებად ჟურნალებში. უნივერსიტეტი მიზნად ისახავს დოქტორანტების მხარდაჭერას სემინარებითა და ხელმძღვანელობის ქვეშ განხორციელებული კვლევითი პროექტებით. თუმცა, სტუდენტების უკუკავშირის მიხედვით, საჭიროა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების უფრო სტრუქტურირებული სწავლება. ეს ხარვეზი ზღუდავს ზოგიერთი სტუდენტის უნარს ჩატაროს დამოუკიდებელი კვლევა. საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები ხშირად მოითხოვენ სავალდებულო საკურსო ნაშრომს კვლევის უახლეს მეთოდებში, რაც ასევე დაეხმარება სადისერტაციო ნაშრომს. უნივერსიტეტს შეუძლია დანერგოს ეს პრაქტიკა, რაც პროგრამას გლობალურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანს. გარდა ამისა, ზოგიერთმა სტუდენტმა აღნიშნა შეუსაბამობები კვლევის ხელმძღვანელობის ხარისხში, განსაკუთრებით იმ ხელმძღვანელების მხრიდან, რომლებიც ბიზნესის სფეროს არ განეკუთვნებიან. უნივერსიტეტი უნდა დარწმუნდეს, რომ სადოქტორო ნაშრომის ყველა ხელმძღვანელს შესაბამისი განათლება აქვს ბიზნესის კვლევაში, რაც გააუმჯობესებს კვლევის შედეგებს და დაეხმარება უნივერსიტეტს სადოქტორო პროგრამის მაღალი აკადემიური სტანდარტების შენარჩუნებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების აღწერილობები და სასწავლო გეგმები
- კურსის სილაბუსები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები
- სწავლის შედეგების რუკები და წინაპირობების ცხრილები
- დისერტაციისთვის მოქმედი მოთხოვნები
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის რეგულაცია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ჩატარების შესახებ
- აკადემიური წერის სტანდარტები
- 2020 წლის განცხადება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან და დოქტორანტების ხელმძღვანელ(ებ)თან დაკავშირებით
- თვითშეფასების ანგარიში;

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია დამყარდეს მეტი პარტნიორობა ბიზნესებთან და ორგანიზაციებთან სხვადასხვა სექტორში, რაც ყველა პროგრამაზე უზრუნველყოფს რეალური სიტუაციების შესწავლას, საკონსულტაციო პროექტებსა და სტაჟირებას, და სწავლების მეთოდებს დარგის პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოიყვანს.
- სასურველია რეგულარული, სტრუქტურირებული ტრენინგ სესიების დაწერვა თანამედროვე სწავლების ტექნიკებში, როგორიცაა შებრუნებული საკლასო ოთახი, გეიმიფიკაცია და სტუდენტების მიერ წარმართული სწავლება, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას და ეფექტურობას ფაკულტეტის მასშტაბით.
- სასურველია გაიზარდოს საველე გასვლების, დარგის ვიზიტებისა და გარე აქტივობების რაოდენობა ყველა პროგრამაზე, რაც გააძლიერებს პრაქტიკულ ასპექტებს და უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამის სფეროებთან პირდაპირი კონტაქტით.
- სასურველია შემუშავდეს უკუკავშირის ისეთი სისტემა, სადაც სტუდენტები შეძლებენ სემისტრის განმავლობაში გააზიარონ მოსაზრებები სწავლების მეთოდების შესახებ, რაც საშუალებას მისცემს ფაკულტეტს საჭიროებისამებრ დროულად შეიტანოს ცვლილებები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო

პროგრამა. რჩევები:

- სასურველია პროგრამის კვლევის მეთოდების კურსის ფარგლებში დაინერგოს რაოდენობრივი ანალიზის სწავლება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების ანალიტიკური და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებას.
- სასურველია გაიზარდოს რეალური ბიზნეს ქეისების ან რეალური სიმულაციების მრავალფეროვნება და სიხშირე.
- სასურველია დაემატოს სემინარები ან არჩევითი მოდულები ბიზნეს უნარებში, როგორიცაა ფინანსური მოდელირება, მოლაპარაკება და ბიზნეს კომუნიკაცია.

2. სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის

საბაკალავრო პროგრამა. რჩევები:

- სასურველია დაინერგოს სტრუქტურირებული სამრეწველო პრაქტიკა სამშენებლო ფირმებში ან საინჟინრო ორგანიზაციებში, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა.
- სასურველია მეტი ერთობლივი პროექტის განხორციელება დარგის მენტორებთან, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს მიიღონ უკუკავშირი და მოსაზრებები სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტში აქტიურად მომუშავე პროფესიონალებისგან.

3. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო

პროგრამა. რჩევები:

- სასურველია დაინერგოს რაოდენობრივი კვლევის მოდული, რომელიც ფოკუსირებული იქნება მონაცემთა ანალიტიკაზე, სტატისტიკურ მეთოდებსა და ბიზნეს ინტელექტუალურ კვლევის უნარებში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
- სასურველია არჩევითი საგნების ხელმისაწვდომობის გაზრდა ისეთ მოწინავე სფეროებში, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, მეწარმეობა და ინოვაციების მენეჯმენტი, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს თავიანთი უნარები ბაზრის არსებულ მოთხოვნებს მოარგონ.
- სასურველია ადგილობრივ ბიზნესებთან უფრო მჭიდრო პარტნიორობით მოკლევადიანი საკონსულტაციო პროექტების შეთავაზება კურიკულუმის ფარგლებში, რაც სტუდენტებს მისცემს პრაქტიკულ გამოცდილებას რეალურ კლიენტებთან მუშაობაში.

1. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო

პროგრამა, რჩევები:

- სასურველია სპეციალური კურსის შემუშავება ჯანდაცვის სპეციფიკური კვლევის მეთოდებზე, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის მენეჯმენტისთვის აუცილებელ როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ ტექნიკას.
- სასურველია ჯანდაცვის მენეჯმენტის პერსონალის წახალისება ჩაერთონ სპეციალიზებულ ტრენინგებში, რომლებიც ეხება სოციალურ მეცნიერებებში ჯანდაცვის კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას.

5. აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში

- სასურველია კურიკულუმში აქცენტი გაკეთდეს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უნარებზე, რაც მოამზადებს სტუდენტებს აღმასრულებელი პოზიციებისთვის, სადაც ანალიტიკა კრიტიკულია ინოვაციური სტრატეგიისთვის.
- სასურველია არჩევითი სასერთიფიკატო კურსების გავლა ისეთ სფეროებში, როგორიცაა პროექტის მენეჯმენტი, მოქნილი მეთოდოლოგიები ან ცვლილებების მენეჯმენტი, რამაც სტუდენტებს შეიძლება მისცეს დამატებითი კვალიფიკაცია მათი სამაგისტრო

პროგრამის ფარგლებში.

- სასურველია ჩატარდეს ინოვაციური დარგების ლიდერების მიერ მაღალი დონის სემინარები, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს წარმოდგენა შექმნათ მაღალი დონის გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე.

6. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

რჩევები:

- სასურველია სავალდებულო გახდეს უახლესი კვლევის მეთოდების უფრო სტრუქტურირებული სწავლება, რაც უზრუნველყოფს დოქტორანტების სათანადო მომზადებას სოციალური მეცნიერების დამოუკიდებელი კვლევისთვის.
- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სადოქტორო ნაშრომის ყველა ხელმძღვანელის შესაბამისი ცოდნა სოციალური მეცნიერების/ ბიზნესის კვლევაში და შესთავაზოს მათ სპეციალიზებული ტრენინგი, განსაკუთრებით იმათ, ვინც ბიზნესის სფეროს არ მიეკუთვნება.
- სასურველია უნივერსიტეტმა შესთავაზოს დოქტორანტებს დამატებითი მხარდაჭერა აკადემიური პუბლიკაციის პროცესში, მათ შორის სემინარები ჟურნალში წარდგენისა და რეცენზენტების შენიშვნებზე პასუხის გაცემის შესახებ.

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება- სწავლის მეთოდები	შესაბამისობაში და მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში და მოთხოვნებთა ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა ონლაინების
მენეჯმენტში
საფეხური 2)

პროგრამა 6 (ზიზნესის
ადმინისტრირების
სადოქტორო
პროგრამა, საფეხური 3)



2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაკვირვებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. იგი ძირითადად გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. შეფასების მეთოდები ფოკუსირებულია შეფასების მრავალფეროვან სისტემაზე. შეფასების მეთოდები გაწერილია თითოეული კურსის სილაბუსში, რაც სტუდენტებს შეფასების სტრუქტურებს აცნობს. სტუდენტებს აქვთ შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდები, სადაც დასკვნით გამოცდას მაქსიმალური შეფასების 40% ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ ეს მრავალკომპონენტიანი სტრუქტურა იძლევა სტუდენტის სწავლის უფრო ყოვლისმომცველი შეფასების საშუალებას, ის მეტად უნდა შეესაბამებოდეს კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს, სადაც თითოეული კომპონენტი პირდაპირ ზომავს კონკრეტულ კომპეტენციებსა და სწავლის შედეგებს. ასევე, სტუდენტების უკუკავშირმა გამოავლინა გასაუმჯობესებელი სფეროები შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობისა და თანმიმდევრულობის მიმართულებით.

სტუდენტებმა აღნიშნეს გაურკვეველი ქვეკრიტერიუმები შეფასების რუბრიკებში, სადაც დეტალები ნაწილობრივი ქულების შესახებ, განსაკუთრებით ჯაგუფურ პროექტებსა და პრაქტიკულ დავალებებში, ხშირად არასაკმარისად არის ახსნილი. ეს შეუსაბამობა იწვევს იმას, რომ სტუდენტები აწყდებიან განსხვავებულ სტანდარტებს ან პრაქტიკებს ფაკულტეტის წევრის ან კურსის სტრუქტურის მიხედვით. კლასტერის მასშტაბით უფრო თანმიმდევრული შეფასების ჩარჩოს დანერგვა უზრუნველყოფდა ყველა სტუდენტის შეფასებას ერთი და იმავე სტანდარტების მიხედვით.

აკადემიური არაკეთილსინდისიერების, მათ შორის პლაგიატის მართვის მხრივ, უნივერსიტეტი სტუდენტების ნაშრომების ორიგინალობის შესამოწმებლად იყენებს Turnitin-ს. თუმცა, არსებობს გარკვეული კითხვები პლაგიატის პოლიტიკის აღსრულებასთან დაკავშირებით. სტუდენტებმა აღნიშნეს ცვალებადობა იმაში, თუ რამდენად მკაფრად გამოიყენება ეს წესები სხვადასხვა კურსზე, ზოგიერთი სტუდენტი თვლის, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი არ არის

ერთგვაროვნად გავრცელებული. ეს მიუთითებს, რომ უნივერსიტეტს შეუძლია გააუმჯობესოს აკადემიური კეთილსინდისიერების სახელმძღვანელო პრინციპები და უზრუნველყოს ამ სტანდარტების ერთგვაროვნად აღსრულება ყველა ფაკულტეტზე. აკადემიური კეთილსინდისიერებისთვის მკაფიო, თანმიმდევრული სახელმძღვანელო პრინციპების დადგენა - სტუდენტებისთვის და ფაკულტეტის წევრებისთვის რეგულარულ ტრენინგ სესიებთან ერთად - ხელს შეუწყობს ამ განვითარებას.

ბოლოს, უნივერსიტეტის რეგულაციების მიხედვით, სტუდენტებს შეუძლიათ დამატებითი გამოცდების ჩაბარება პირველ მცდელობაზე ჩაჭრის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს აძლევს სტუდენტებს მეორე შესაძლებლობას აჩვენონ თავიანთი კომპეტენციები, ხუთდღიანი მინიმუმი გამოცდებს შორის შეიძლება არ იყოს საკმარისი იმისთვის, რომ მათ გაიგონ საკითხი. უნივერსიტეტმა შეიძლება გაზარდოს ეს დროითი ჩარჩო და უზრუნველყოს დამატებითი კონსულტაცია ან სასწავლო რესურსები, რომელთა დახმარებითაც სტუდენტები გააუმჯობესებენ განმეორებითი გამოცდის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების აღწერილობები და სასწავლო გეგმები
- კურსის სილაბუსები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები
- დისერტაციისთვის მოქმედი მოთხოვნები
- თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის ზოგადი რჩევები:

რჩევები:

1. სასურველია შეფასების დეტალური რუბრიკების სტანდარტიზება ყველა პროგრამაზე, რათა ყველა სტუდენტმა იცოდეს, როგორ ფასდება მათი ნამრომი.
2. სასურველია გადასვლა კომპეტენციებზე დაფუძნებულ შეფასებაზე, სადაც შეფასების თითოეული კომპონენტი პირდაპირ ზომავს კონკრეტულ სწავლის შედეგებს ან კომპეტენციებს.
3. სასურველია აკადემიური კეთილსინდისიერების მკაფიო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს პლაგიატისა და სხვა სახის გადაცდომების კონკრეტულ შედეგებს. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ფაკულტეტის ყველა წევრის მომზადება ამ სტანდარტებში და მათი თანმიმდევრული გამოყენება.
4. სასურველია პირველ და განმეორებით გამოცდებს შორის პერიოდის გაზრდა.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ზიზნესის ადმინისტრირების სახაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერის მენეჯმენტის სახაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ზიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში, საფეხური 2)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ზიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, საფეხური 3)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--	---------------------------------	---	---	---

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სამოქალაქო ინჟინერიის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, საფეხური 1)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 2)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინოვაციების მენეჯმენტში, საფეხური 2)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, საფეხური 3)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების

ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული პირებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნიუ ვიუენ უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმებისა და პროფესიული

განვითარების შესახებ. მნიშვნელოვან შემთხვევებში დეკანი და სკოლის კოორდინატორი უზრუნველყოფენ ყველა საჭირო ინფორმაციას და სტუდენტებს უწევენ სათანადო დახმარებას, რაც დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრების დროს. გარდა ამისა, არსებობს ცენტრალიზებული სტუდენტური ცენტრი, კეთილდღეობის ცენტრი, კარიერული განვითარების ოფისი, სტუდენტთა კონსულტირებისა და ადვოკატირების ოფისი, რომლებიც ძირითადად დახმარებას უწევენ სტუდენტებს მათ სასწავლო და არასასწავლო საჭიროებებში.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტები აღფრთოვანებულნი იყვნენ ნიუ ვიუენ უნივერსიტეტის საერთაშორისო გარემოთი, სტაჟირების შესაძლებლობებით და უნივერსიტეტის მხრიდან დასაქმების შემდგომი მხარდაჭერით. თუმცა, მათ აღნიშნეს, რომ მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს სწავლების მეთოდებზე, მაგალითად აღინიშნა, რომ მარკეტინგის სასწავლო კურსში უკეთესი იქნებოდა თუ სტუდენტებს ექნებოდათ შესაძლებლობა პრაქტიკულად ეწვენებინათ ნასწავლი მიდგომები, და არა მხოლოდ ზეპირად გადმოეცათ ნასწავლი მასალა. სასურველია მარკეტინგის ლექტორებმა სტუდენტებს მისცენ საშუალება პრაქტიკულად აჩვენონ რა ისწავლეს.

სტუდენტები იღებენ კონსულტაციებს უნივერსიტეტის შესაბამისი დეპარტამენტებისგან და შემდგომ დახმარებას ლექტორებისგან. ეს მიდგომა გასაუბრებების დროს დაადასტურეს როგორც სტუდენტებმა, ისე ლექტორებმა, რაც ეფუძნება მათ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. იმისათვის, რომ ყველა სტუდენტის უფლებები იყოს დაცული, მისი ფორმალიზებისთვის, ყველა ლექტორისთვის საწყის ეტაპზევე ნათელი იყოს, რომ საჭიროების შემთხვევაში სავალდებულოა საკონსულტაციო საათების ჩატარება, სასურველია სწავლის დაწყებამდე საკონსულტაციო საათების საწყისი ცხრილის შემუშავება. შემდგომში შედეგების ანალიზი ხელს შეუწყობს კურსის შემდგომ განვითარებას.

